საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

12

დეკემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ. სახ. სამედ. ინსტიტუტი * ბიბლიოთეკა * ინვ. №

თბილისი—1962

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წ. 22 ნოემბრის № 1057 ბრძანება

მესტიის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

მესტიის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმებით დასტურდება, რომ ამ დარგში რაიონს აქვს ერთგვარი მიღწევები; საგრძნობლად არის გაუმჯობესებული სკოლების მატერიალური ბაზა; ყველა საშუალო სკოლა გადაყვანილია საწარმოო სწავლებაზე და ადგილობრივი პირობების შესაბამისად მათთვის შერჩეულია სასწავლო-საწარმოო ბაზები; მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული სკოლების უზრუნველყოფისათვის ადგილობრივი პედაგოგიური კადრებით; რაიონის მასწავლებელთა დიდი ნაწილი მონდომებით მუშაობს სკოლის წინაშე დასმული ახალი ამოცანების განხორციელებისათვის.

მიუხედავად მიღწევებისა, რაიონის სკოლების მუშაობაში სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი.

დაბალ დონეზე დგას ზეპირი და წერითი მეტყველება დაწყებით კლასებში. ეცერის საშუალო სკოლის II კლასის (მასწ. ლ. გელლიანი), III კლასის (მასწ. ს. ქალდანი), IV კლასის (მასწ. ე. სუბელიანი), მულახის საშუალო სკოლის II კლასის (მასწ. ო. ფილფანი), მაზერის რვაწლიანი სკოლის IV კლასის (მასწ. თ. გუჯეჯიანი) მოსწავლეები გაკვეთილის თხრობისას გაუაზრებლად ხმაროობენ სიტყვებს, რომელთა შინაარსი ბევრ შემთხვევაში არ ესმით. მაზერის რვაწლიანი სკოლის IV კლასის მოსწავლეები ქართული ენის პროგრამული მასალის უცოდინარობას ამჟღავნებენ, ვერ ახერხებენ მარტივი სახის წინადადების შედგენასა და მის გარჩევას. ეცერის საშუალო სკოლის IV კლასის მასწავლებელი ე. სუბელიანი მოუმზადებელი ცხადდება გაკვეთილზე, ზეპირი მეტყველებისას უშვებს ენობრივ შეცდომებს, დროულად და გულდასმით არ ასწორებს მოსწავლეთა ნამუშევრებს და უხეში შეცდომებიც კი გაუსწორებელი რჩება. შემოწმებული სკოლების დაწყებითი კლასის მას-

წავლებლები არ იცნობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებას „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი კლასების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ," აგრეთვე—მითითებებს დაწყებით კლასებში ძირითადი სასწავლო დისციპლინების სწავლების შესახებ (განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული, 1961 წ. №7).

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება ეცერის (მასწ ზ. ფარჯველიანი და ა. სუბელიანი), მულახის (მასწ. ლ. გუჯეჯიანი), მესტიის (მასწ. ც. ნაველრიანი და ლ. მჭედლიანი) საშუალო სკოლებისა და ლატალის რვაწლიანი სკოლის (მასწ. მ. გირგვლიანი) V—VIII კლასებში.

ქართული ენის სწავლებისას საკმაო მუშაობა არ ტარდება თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების ჩვევათა დანერგვისათვის, ღარიბია მოსწავლეთა ლექსიკური მარაგი, დაბალია მეტყველების კულტურა, მოსწავლეთა უმრავლესობას არ შესწევს დამოუკიდებელი თხრობისა და სწორად მეტყველების უნარი, სათანადო ყურადღება არ ექცევა კლასგარეშე კითხვას და სუსტია მოსწავლეთა ინტერესი მხატვრული ლიტერატურისადმი, რის გამო ძალზე დაბალია მათი ნაკითხობის დონე.

დაბალ დონეზე დგას ქართული ლიტერატურის სწავლება. მოსწავლეებში არაა გამომუშავებული და დანერგილი მხატვრული ნაწარმოების საფუძვლიანად და დამოუკიდებლად შესწავლის ჩვევები; მოსწავლეები საკმარისად ვერ ერკვევიან მხატვრული ნაწარმოების იდეურ შინაარსში, მოქმედ პირთა ხასიათში, მხატვრულ მხარესა და ლექსიკაში, მწერლის შემოქმედებაზე მსჯელობისას გვერდს უვლიან კონკრეტულ მასალას და კმაყოფილდებიან ზოგადი ფრაზებით, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ლიტერატურის თეორიის საკითხებზე (განსაკუთრებით ეცერის საშუალო სკოლაში).

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში არსებული ნაკლოვანებანი ძირითადად იმის შედეგია, რომ ამ საგნების მასწავლებელთა ნაწილი საჭირო გულმოდგინებას არ იჩენს საგნის სწავლებისადმი, ნაკლებად ზრუნავს საკუთარი პედაგოგიურ-მეთოდური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. შემოწმებული სკოლების მასწავლებელთა დიდ ნაწილს წაკითხული და შესწავლილი არ ჰქონდა განათლების სამინისტროს 1961 წლის 29 ივნისის № 460 ბრძანება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების V—X კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" (კრებული, 1691 წელი, № 7).

ძალზე დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე რუსულ ენასა და ლიტერატურაში: მეტად ღარიბია მოსწავლეთა სამეტყველო ლექსიკა, უბრალო კითხვებზეც კი ისინი ვერ იძლევიან სწორ პასუხს, დაწყებითი კლასის და ზოგჯერ უფროსი კლასის მოსწავლეები სწორად ვერ წერენ და ვერ ასახელებენ წელიწადის დროებს, თვეებს, კვირის დღეებს, ერთმანეთისაგან ვერ არჩევენ ზედსართავ სახელსა და ზმნიზედას, უძნელდებათ მარტივი წინადადებების გარჩევა, პრაქტიკულად ვერ იყენებენ გაზეპირებულ გრამატიკულ წესებს, შეუგნებლად იზეპირებენ ლიტერატურულ მასალას, მონოტონურად კითხულობენ მას, არ იცავენ სასვენ ნიშნებს, არ აბოლოებენ სიტყვებს, არ ესმით მათი მნიშვნელობა; უხეშ შეცდომებს უშვებენ მახვილისა და შერბილების ნიშნის ხმარებაში, ბევრი მოსწავლე არასწორად წერს ასოებს, სიტყვებს, ვერ ხმარობს სასვენ ნიშნებს. მასწავლებლები ბ. გერჩიანი და თ. გერლიანი (ეცერის საშუალო სკოლა), გ. ნავერიანი (მულახის საშუალო სკოლა) ყურადღებით არ ასწორებენ მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს, ხოლო საშინაო დავალებები სრულიად უყურადღებოდაა დატოვებული.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება აგრეთვე უცხო ენების სწავლება. სკოლების უმრავლესობაში უცხო ენას არასპეციალისტები ასწავლიან. ლატალის რვაწლიანი სკოლის VII და VIII კლასის (მასწ. გ. ჩარკვიანი და გ. ხვინთელანი) მოსწავლეებმა თითქმის არაფერი იციან გავლილი მასალიდან, უჭირთ კითხვა, არ გააჩნიათ სიტყვათა მინიმალური მარაგი, არ შეუძლიათ მასწავლებლის მიერ დასმულ მარტივ კითხვებზე სწორი პასუხის გაცემა; პროგრამით გათვალისწინებული გრამატიკული მასალის გავლაში თითქმის ყველა კლასი დიდად არის ჩამორჩენილი. მულახის სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი ნ. გერლიანი ენას სუსტად ფლობს, თვითონ უშვებს შეცდომებს და მოსწავლეთა მიერ არასწორად წაკითხულ ტექსტს გაუსწორებლად ტოვებს.

სკოლების დიდ ნაწილში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მათემატიკის სწავლება: ეცერის საშუალო სკოლის V კლასის (მასწ. ვ. საბანიძე) მოსწავლეებმა არ იციან რიცხვის გაყოფადობის კანონები, ცუდად ერკვევიან რიცხვის ჯერადისა და გამყოფის ცნებებში, დამოუკიდებლად ვერ ახერხებენ უბრალო გამოანგარიშებათა შესრულებას. ამავე სკოლის IV კლასის (მასწ. ე. სუბელიანი) მოსწავლეებს არ აქვთ მთელ რიცხვებზე ოთხ არითმეტიკულ მოქმედებათა შესრულებისათვის საჭირო ცოდნა-ჩვევები, ვერ ფლობენ ზეპირი ანგარიშის ხერხებს. მასწავლებელი თვითონ უშვებს არაზუსტ განმარტებებს და არითმეტიკული ჩანაწერების

წარმოებისას არ იცავს საამისოდ დადგენილ წესებს. დაბალ მომზადებას ამჟღავნებენ გეომეტრიაში X კლასის მოსწავლეებიც (მასწ. ს. გერლიანი), ისინი შეუგნებლად იზეპირებენ გეომეტრიულ მასალას და არ ესმით მისი შინაარსი, უგულებელყოფილია გეომეტრიული ამოცანების ამოხსნაზე ვარჯიში და სხვა.

მულახის საშუალო (მასწ. ი. ქოჩკიანი) და ლატალის რვაწლიანი (მასწ. თ. მარგიანი) სკოლების VI კლასების მოსწავლეთა მომზადების დონე არითმეტიკაში ძალზე დაბალია. მოსწავლეებმა არ იციან სიდიდეთა ზუსტი და მიახლოებითი მნიშვნელობანი, მიახლოებით რიცხვებზე მოქმედებანი, ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად უბრალო სახის ამოცანების ამოხსნას პროცენტებზე, თვით მასწავლებლები არ იცავენ რიცხვების დამრგვალების წესს და სხვ. მულახის საშუალო სკოლის X კლასის (მასწ. კ. გირგვლიანი) მოსწავლეებმა არ იციან ტრიგონომეტრიული ფუნქციები, ვერ იძლევიან მათ განსაზღვრას, ვერ ახერხებენ ტრიგონომეტრიული ფორმულების გამოყენებას გამოსახულებათა გარდაქმნებისა და ტრიგონომეტრიულ სიდიდეთა გამოანგარიშებისას.

საჭირო ყურადღება არ ექცევა მათემატიკაში წერითი მუშაობის ამაღლებას. მასწავლებელთა დიდი ნაწილი საშინაო-საკლასო წერას ფორმალურად ატარებს; მოსწავლეთა ნამუშევრები სავსეა უხეში შეცდომებით და აზრსმოკლებული ჩანაწერებით, რაც მასწავლებელს შეუმჩნეველი რჩება. საკონტროლო წერები არ ტარდება განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ნორმების შესაბამისად; მასწავლებლები საკონტროლო წერით ნამუშევრებს გულდასმით არ ასწორებენ, არ ახდენენ დაშვებული შეცდომების ანალიზს და ხშირ შემთხვევაში ნამუშევრებს ლიბერალურად აფასებენ.

არსებითი ნაკლოვანებებით ხასიათდება ფიზიკის სწავლება ეცერის, მულახის, მესტიის საშუალო და მაზერის რვაწლიან სკოლებში. ეცერის საშუალო და მაზერის რვაწლიან სკოლებში ფიზიკის მასწავლებლები გ. მურღულიანი და ნ. ვეზდენი სუსტად ფლობენ საგანს და მისი სწავლების მეთოდებს. VIII კლასში მათ გამოტოვებული ჰქონდათ სინათლის მოვლენები (15 საათი) და გადასული იყვნენ ელექტრობის სწავლებაზე. ისინი ვერ ატარებენ სადემონსტრაციო ცდებს და ლაბორატორიულ სამუშაოებს. ეცერის საშუალო სკოლის VIII კლასის (მასწ. ბ. მურღულიანი) მოსწავლეები სუსტად ფლობენ განვლილ მასალას, არ იციან ბგერითი მოვლენები, წარმოდგენა არა აქვთ ელექტროდენზე. იმავე სკოლის VII კლასის (მასწ. ნ. ვეზდენი) მოსწავლეები არ იცნობენ მოძრაობის სახეებს და ვერ ახერხებენ ამ საკითხზე მარტივი ამოცანების ამო-

ხსნას. მულახისა და მესტიის საშუალო სკოლებში ფიზიკის სწავლებაში ადგილი აქვს ფორმალიზმს. მულახის საშუალო სკოლის IX კლასის (მასწ. თ. ჩოფლიანი) მოსწავლეები ვერ იყენებენ მეტემატიკური ქანქარის რხევის კანონებს უმარტივესი ამოცანების ამოხსნისას; მესტიის საშუალო სკოლის XI კლასის (მასწ. ს. ფალიანი) მოსწავლეებმა ვერ შეძლეს ელექტრომამოძრავებელი ძალის ფორმულის ანალიზის გაკეთება და მისი შედარება ჰარმონიული რხევითი მოძრაობის ფორმულასთან; მოსწავლეებმა სუსტად იციან სინუსის პერიოდულობა, ვერ ხსნიან ცვლადი დენის ელექტრომამოძრავებელი ძალის პერიოდულ ცვლილებას.

ეცერისა და მულახის საშუალო და მაზერის რვაწლიან სკოლებში ფიზიკა ძირითადად ზეპირსიტყვიერად ისწავლება; ეცერის საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტი ღარიბია, ხოლო ის ხელსაწყო-იარაღები, რაც გააჩნია, მოუვლელია და ნაკლებად გამოყენებული. ანალოგიური მდგომარეობაა მულახის საშუალო და მაზერის რვაწლიან სკოლებში. აღნიშნული სკოლები არ იცნობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებებს „რვაწლიან და საშუალო სკოლებში ფიზიკის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ—“ (კრებული, 1961 წ. № 8) და „სასწავლო კაბინეტების ინვენტარისა და მასალების აღრიცხვის, მოვლა-პატრონობისა და გამოყენების შესახებ“ (კრებული, 1961 წ., № 9—10)

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ბიოლოგიის სწავლება ეცერის საშუალო და მაზერის რვაწლიან სკოლებში. ეცერის საშუალო სკოლის VIII და IX კლასების ბიოლოგიის მასწავლებელი გ. პაკელიანი სუსტად ფლობს საგანს, გაკვეთილზე იგი ხშირად იცქირება სახელმძღვანელოში; მოსწავლეები სუსტ მომზადებას ამჟღავნებენ საგანში. VIII კლასში მათ არ იციან კუნთების მოქმედების რეფლექსური ხასიათი, დატვირთვისა და რიტმის გავლენა კუნთის მუშაობაზე, ფიზიკური შრომისა და ფიზკულტურის მნიშვნელობა კუნთებისა და ძვლების განვითარებისათვის; IX კლასის მოსწავლეები ვერ ერკვევიან დარვინის ევოლუციური მოძღვრების ძირითად საკითხებში. ბიოლოგიის მასწავლებლები არ იცნობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებას „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ბიოლოგიის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ (კრებული, 1961 წ. № 8).

ეცერისა და მულახის საშუალო სკოლებში ბიოლოგიის კაბინეტები პატარა ოთახებშია მოთავსებული. ისინი ღარიბია სათვალსაჩინო მასალებით, კაბინეტში არაა მოსწავლეთა თვითნაკეთი ნამუშევრები.

საწარმოოსწავლებიან სკოლებში სპეციალური საგნები უმეტეს შემთხვევაში ზეპირსიტყვიერად ისწავლება. საწარმოო პრაქტიკის და მწარმოებლური შრომის გრაფიკი არც ერთ სკოლაში არაა შედგენილი პროგრამის შესაბამისად; მოსწავლეები საწარმოოსა სწავლებასა და მწარმოებლურ შრომაზე დაშვებული არიან სამედიცინო შემოწმების გარეშე და რიგ შემთხვევაში საწარმოო პრაქტიკა და მწარმოებლური შრომა ტარდება თეორიული მეცადინეობის ხარჯზე.

ეცერის საშუალო და მაზერის რვაწლიან სკოლებში არ აქვთ სასწავლო სახელოსნოები და შრომითი სწავლების საათებს დანიშნულებისამებრ ვერ იყენებენ.

შემოწმებულ საშუალო და რვაწლიან სკოლებში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული ბიბლიოთეკების მუშაობა, ეცერის საშუალო სკოლის ბიბლიოთეკა ღარიბია ლიტერატურით, ხოლო არსებული მოუვლელია, არ არის შედგენილი საკითხავი ლიტერატურის სარეკომენდაციო სიები, არა აქვთ შთაბეჭდილების წიგნი და სხვა. მაზერის რვაწლიან სკოლაში ბიბლიოთეკის (გამგე თ. გუჯეჯიანი) წიგნები საწყობშია ჩაკეტილი და დიდი ნაწილი დაზიანებულია.

სუსტად მუშაობენ მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანებანი. საჭირო ყურადღება არ ექცევა მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადებას, ძალზე სუსტია მეთოდური დახმარება საწარმოოსწავლებიანი სკოლების სპეციალური საგნების მასწავლებლებისადმი.

სკოლების წლიური სამუშაო გეგმები ზოგადია—მათში არ არის გათვალისწინებული ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობის შესწავლა, ხოლო კლასის ხელმძღვანელების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გეგმები შედგენილია ზერელედ, კლასისა და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებათა გაუთვალისწინებლად. საჭირო მუშაობა არ ტარდება მოსწავლეებში კულტურული ქცევის ჩვევების დანერგვისათვის, მოსწავლეები მზრუნველობით არ უვლიან სახელმძღვანელოებს და სასწავლო ნივთებს. ამასთან სკოლები განიცდიან სახელმძღვანელოებისა და სასწავლო ნივთების ნაკლებობას. მაგალითად, მაზერის რვაწლიანი სკოლის I კლასში 15 მოსწავლიდან მხოლოდ სამს ჰქონდა „დედა ენა".

სკოლების პედაგოგიური კოლექტივები თანმიმდევრულად არ იბრძვიან შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის. ზოგ სკოლაში მასობრივად აქვს ადგილი მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების არასაპატიო მიზეზით გაცდენებისა და გაკვეთილების დატოვების

შემთხვევებს: მაზერის რვაწლიანი სკოლის მეხუთე კლასში შემოწმების დღეს 22 მოსწავლიდან გაკვეთილს არ ესწრებოდა 7 მოსწავლე, მათ შორის 4 მოსწავლე მესამე გაკვეთილიდან იყო წასული, მეექვსე კლასში 12-დან არ ესწრებოდა 5, ხოლო მეშვიდე კლასში 21-დან — 9; მეექვსე კლასში ერთი თვის მანძილზე — 8 სექტემბრიდან 12 ოქტომბრამდე — მოსწავლეთა მიერ გაკვეთილის დატოვების 43 შემთხვევაა აღრიცხული, ხოლო ამავე პერიოდში 12 მოსწავლის მიერ გაცდენილია 27 სამეცადინო დღე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭირო ყურადღება არ ექცევა საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის განხორციელების საქმეს. მაგალითად, იფარის საშუალო სკოლიდან განთესილია 2 მოსწავლე, ბეჩოს საშუალო სკოლიდან — 2, ლენჯერის საშუალო სკოლიდან — 1, კალის რვაწლიანი სკოლიდან — 1, წვირმის რვაწლიანი სკოლიდან — 1 მოსწავლე. ამასთან პირველ კლასში მისაღებ ბავშვთა აღრიცხვა არაზუსტია, მათი საბუთები გაუფორმებელია; მაზერის რვაწლიანი სკოლის მიერ პირველ კლასში ჩასარიცხავად აღრიცხული იყო 9 ბავშვი, ხოლო ჩარიცხულია 15; ზოგიერთ ჩარიცხულ ბავშვზე სკოლას არ მოეპოვება დაბადების მოწმობა და სხვა საბუთები.

ეცერისა და მულახის საშუალო, ლატალისა და მაზერის რვაწლიან სკოლებში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული პედაგოგიური საბჭოს მუშაობა. უმეტეს შემთხვევაში საკითხები ფორმალურად არის განხილული და მიღებული დადგენილებებიც ზოგადია. მულახის საშუალო სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე გასულ სასწავლო წელს მეოთხედის შედეგების შესახებ მოსმენილია მხოლოდ კლასის ხელმძღვანელთა ინფორმაციები, არაა გაანალიზებული მეოთხედში ჩატარებული მუშაობის შედეგები და არაა დასახული კონკრეტული ღონისძიებანი სასწავლო აღმზრდელობით მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

შესწავლილი სკოლების ერთ ნაწილში მოუწესრიგებელია ატესტატებისა და მოწმობების გაცემის საქმე: ეცერის საშუალო სკოლაში (დირექტორი ვ. პაკელიანი) აღმოჩნდა 1961 წლის 5 ცალი, ხოლო 1962 წლის 8 ცალი შეუვსებელი ატესტატის ბლანკი, მესტიის საშუალო სკოლაში (დირექტორი ი. ჩართოლანი) შეუვსებელი აღმოჩნდა 1956, 1957 და 1958 წლების შვიდწლიანი სკოლის დამთავრების 10 ცალი მოწმობა, მაშინ როცა იმ მოსწავლეთა ნაწილმა, რომელთაც ეს მოწმობები უნდა მიეღოთ, უკვე დაამთავრა საშუალო სკოლა და მიიღო სიმწიფის ატესტატი.

ეცერის საშუალო და მაზერის რვაწლიანი სკოლების შენობები მოუვლელია, რემონტი უხარისხოდაა ჩატარებული, კარებს არ

აქვს საკეტები და მინები ჩამტვრეულია; ეცერის საშუალო სკოლას არ აქვს საკმაო რაოდენობის ინვენტარი—მერვე კლასის 23 მოსწავლე 9 მერხზე იჯდა, ხოლო მეცხრე კლასის 22 მოსწავლე—8 მერხზე; ამავე სკოლის V და VIII კლასებში დაფები სკამებზეა დადგმული, ხოლო მეორე კლასში—იატაკზე დევს. ეცერის საშუალო, მაზერის და ლატალის რვაწლიან სკოლებში დღემდე არ არის მიზიდული გეგმით გათვალისწინებული სათბობი მასალა.

ზოგ სკოლაში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული შინასასკოლო კონტროლი, მოსმენილი გაკვეთილების ანალიზი ზერელეა და ქმედით დახმარებას ვერ გაუწევს მასწავლებლებს.

ზოგი სკოლა არ არის უზრუნველყოფილი კვალიფიციური სპეციალისტებით, რაიონის სკოლებს აკლიათ მასწავლებლები: რუსულ ენასა და ლიტერატურაში—5, უცხო ენაში—9, მათემატიკაში—3, ფიზიკაში—3. არის შემთხვევები, როდესაც რაიონში სამუშაოდ გაგზავნილი ახალგაზრდა სპეციალისტები ადგილზე არ ცხადდებიან, მაგალითად, სამუშაოზე არ გამოცხადებულან ქუთაისის პედინსტიტუტის კურსდამთავრებული ფიზიკოსები რ. ჯიჯელავა, ვ. გოგუაშვილი და სხვები.

სუსტია რაიონის პედკაბინეტის დახმარება სკოლებისადმი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლის დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

ა) გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი სწავლების ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა ცოდნის ამაღლებისათვის; მტკიცედ იხელმძღვანელონ ამ საქმეში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შესაბამისი ბრძანებებითა და მითითებებით;

ბ) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა მუშაობისადმი, სისტემატურად დაესწრონ მათ გაკვეთილებს, საფუძვლიანად გაანალიზონ მოსმენილი გაკვეთილები;

გ) განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყოლიონ ამ ბრძანებაში აღნიშნული სუსტად მომუშავე მასწავლებლები, გააძლიერონ მათდამი დახმარება და იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ უზრუნველყოფენ საგნის სწავლების გაუმჯობესებას, დააყენონ საკითხი სამუშაოდან მათი განთავისუფლების შესახებ;

დ) დაუყოვნებლივ გადასინჯონ გაკვეთილების ცხრილი და მოიყვანონ იგი პედაგოგიურ და მეთოდურ მოთხოვნათა სრულ შესაბამისობაში;

ე) მიიღონ აუცილებელი ზომები სკოლებში სასწავლო კაბინეტებისა და სახელოსნოების მოწყობისათვის, შეავსონ აუცილებე-

ლი ხელსაწყო-იარაღებით, სათვალსაჩინო მასალებითა და რეაქტივებით. სასწავლო კაბინეტების ინვენტარისა და მასალების აღრიცხვა, მოვლა-პატრონობა და გამოყენება აწარმოონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1961 წლის 21 აგვისტოს ბრძანების შესაბამისად;

ვ) გააუმჯობესონ კლასგარეშე მუშაობა. წრეების მუშაობა წარმართონ ისე, რომ იგი ხელს უწყობდეს მოსწავლეებში პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და განმტკიცებას; დაუყოვნებლივ გამოასწორონ სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი;

ზ) მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობა მოაწყონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსტრუქციულ-მეთოდური წერილის შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადების საქმეს;

თ) სკოლის წლიურ სამუშაო გეგმებში გაითვალისწინონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის კონკრეტული საკითხები. გააუმჯობესონ კლასის ხელმძღვანელთა მუშაობა. დანერგონ მოსწავლეებში კულტურული ქცევის ჩვევები. სისტემატურად შეამოწმონ მოსწავლეთა მიერ სახელმძღვანელოებისა და სასწავლო ნივთების მოვლა-პატრონობის საქმე, მიიღონ ზომები მოსწავლეთა სასწავლო ნივთებით უზრუნველსაყოფად;

ი) დააზუსტონ სკოლასჩამოშორებულ მოსწავლეთა რაოდენობა და უზრუნველყონ მათი შესაბამის კლასებში მთლიანად ჩაბმა, აღმოფხვრან მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების არასაპატიო მიზეზით გაცდენები;

კ) გააუმჯობესონ პედაგოგიური საბჭოების მუშაობა; სისტემატურად განიხილონ სასწავლო დისციპლინების სწავლების მდგომარეობის, მეორეწლიანობისა და მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობის საკითხები და დასახონ ღონისძიებანი არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად;

ლ) დაუყოვნებლივ მიზიდონ სკოლებში ზამთრისათვის საჭირო სათბობი მასალა;

მ) მოსწავლეთა პრაქტიკული მუშაობა და მწარმოებლური შრომა საწარმოო სწავლების კლასებში ჩაატარონ პროგრამის საფუძველზე შედგენილი გეგმის მიხედვით, არ დაუშვან მოსწავლეები საწარმოო პრაქტიკასა და მწარმოებლურ შრომაზე სამედიცინო შემოწმების გარეშე, მტკიცედ დაიცვან უსაფრთხო ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესები;

ნ) წინადადება მიეცეს მესტიისა და ეცერის საშუალო სკოლის დირექტორებს კურსდამთავრებულ მოსწავლეებზე დაუყოვნებლივ შეავსონ ატესტატები და მოწმობები და გასცენ ფიზიკურ ვნილებისამებრ, ხოლო შემდგომ არ დაუშვან მსგავსი შემთხვევა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. სახალხო განათლების განყოფილებამ (ნ. გუჯეჯიანი):

ა) სისტემატურად შეისწავლოს სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობის გაუმჯობესებას, იზრუნოს სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზების განსამტკიცებლად;

ბ) საფუძვლიანად შეამოწმოს საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობა და მკაცრი ზომები მიიღოს იმ დირექტორების მიმართ, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების ცხოვრებაში გატარებას.

11. კადრების განყოფილებამ (უფროსი ი. კვაჭაძე) მიიღოს ზომები მესტიის რაიონის სკოლების რუსული ენის, უცხო ენის, მათემატიკისა და ფიზიკის მასწავლებლებით უზრუნველსაყოფად.

12. ეს ბრძანება განხილულ იქნას მესტიის რაიონის ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წლის ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წ. 4 დეკემბრის № 1098 ბრძანება

სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების ზამთრისათვის მზადყოფნის შესახებ

ზემოწმებით დადასტურდა, რომ სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების უმეტესობამ ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა სასწავლო და სხვა შენობების შეკეთების, სათბობი მასალით მომარაგებისა, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებისა და აღსაზრდელების ზამთრის ტანსაცმელ-ფეხსაცმლით მომარაგების მიმართულებით.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ქ. თბილისის მე-6, ქ. ბათუმის № 1, ქუთაისის № 1, კასპის, გეგეჭკორის, ატენის, მახარაძის, კირნათის, ბროწეულას სკოლა-ინტერნატების, ყრუ-მუნჯ და უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატების, კოჯრის № 1, საჩხერის, თელავის და სურამის საბავშვო სახლების კარგი მუშაობა.

ამავე დროს რიგ სკოლა-ინტერნატებს, საბავშვო სახლებსა და დამხმარე სკოლა-ინტერნატებს ზამთრისათვის მზადების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებები აქვთ.

ჩაისუბნის სკოლა-ინტერნატში ჩატარებული რემონტის ხარისხი დაბალია, არაა დამთავრებული ცენტრალური გათბობის, წყალსადენის და სამეურნეო კორპუსის მშენებლობა; გულრიფშის სკოლა-ინტერნატში ელგაყვანილობის სისტემა ავარიულ მდგომარეობაშია და არაა გატარებული ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებანი, მსგავსი მდგომარეობაა სოხუმის № 1 სკოლა-ინტერნატშიც; ასპინძის სკოლა-ინტერნატს რემონტისათვის გათვალისწინებული 5000 მანეთიდან ათვისებული აქვს მხოლოდ ნახევარი და შენობის სახურავი, იატაკი და საკვამლეები შეუკეთებელია, ელექტროგაყვანილობა გამოსაცვლელია, ცენტრალური გათბობა და კანალიზაცია წესრიგზე არაა; ასევე მოუწესრიგებელია კანალიზაცია, აბანო და სამრეცხაო მარნეულის სკოლა-ინტერნატში, აქვე შენობის სახურავი შესაკეთებელია, ამავე ინტერნატში ზამთრის ტანსაცმლიდან აღსაზრდელებს აკლიათ კალოში—192 წყვილი, მოსწავლეთა ფორმა—42, და სვიტრი 175.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა კიცხის სკოლა-ინტერნატში: წყალსადენი მოუწესრიგებელია, არაა დამონტაჟებული სარეცხის მანქანა, წყლის სიმცირის გამო პირსაბნები და საპირფარეშოები გამოუყენებელია; ინტერნატში არაა საწვავი ბმანდილისათვის შესანახი სათავსოები და სხვ. ზამთრის ტანსაცმლიდან აღსაზრდელებს აკლიათ პალტო თბილი—34 ც., წინდა შალის—150 წყვილი და კალოში—150 წყვილი. არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა თეთრიწყაროს სკოლა-ინტერნატშიც. ინტერნატს არა აქვს აბანო, სამრეცხაო და კანალიზაცია, რემონტისათვის გათვალისწინებული თანხების ნაწილი აუთვისებელია, აღსაზრდელებს აკლიათ ზამთრის ტანსაცმლიდან პალტო თბილი—110 ცალი, ქუდი—151 ცალი, შალის წინდა—304 წყვილი, კალოში—230 წყვილი, ხელთათმანი—201 წყვილი, ფეხსაცმელი—115 წყვილი, ბოტი—70 წყვილი, სასკოლო ფორმა—46 ხელი. აღსაზრდელებს არასაკმაო რაოდენობით აქვთ აგრეთვე საცვლები, ლოგინი, შარვალ-ხალათი და სხვა. გორდის სკოლა-ინტერნატში მოუგვარებელია წყლით მომარაგება, შესაკეთებელია განათების ქსელი, ცენტრალური გათბობის სისტემა დღემდე დაუმთავრებელია. სოხუმის № 2 სკოლა-ინტერნატის შენობის ფანჯრებსა და კარებებს არა აქვთ საკეტები, არაა გატარებული ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები, აღსაზრდელებს აკლიათ ზამთრის ტანსაცმელი, არა აქვთ ზამთრის პალტოები, ხელთათმანები, სვიტრები, კოსტუმები, წინდები და სხვ. ახმეტის სკოლა-ინტერნატში დღემდე არაა მოწესრიგებული წყლის მოწოდების საქმე; ინტერნატში არაა გატარებული ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები, კარ-ფანჯრები არ იკეტება; ზამთრის ტანსაცმლიდან აღსაზრდელებს აკლიათ შალის წინდები, კალოშები, ხელთათმანები, ბოტები და სხვ. დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა არ არის აგრეთვე ქობულეთის რაიონის ჩაისუბნის, განთიადის № 2, ქუთაისის № 2, საგურამოს, ყვარლის და სხვა სკოლა-ინტერნატებში.

ვბრძანებ

1. დაევალოს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო-სახლების დირექტორებს: ა) გადამჭრელი ზომები მიიღონ შენობა ნაგებობათა შეკეთების დასამთავრებლად.

ბ) გაატარონ აუცილებელი ღონისძიებანი აღსაზრდელთა საზამთრო ტანსაცმელ-ფეხსაცმლით უზრუნველყოფისათვის;

გ) წესრიგში მოიყვანონ ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებანი. შეაკეთონ და შეიძინონ ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობა;

დ) უმოკლეს ვადებში უზრუნველყონ საწვავი მასალის მთლიანად შეზიდვა დადგენილი ნორმებით.

2. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ გადაჭრილ ზომები მიიღოს ჩაისუბნის, კიცხის, ახმეტის, თეთრიწყაროს სკოლა-ინტერნატებში წყალსადენებისა და კანალიზაციის მოსაწესრიგებლად და საერთოდ რემონტთან დაკავშირებულ სხვა ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად ბრძანებაში დასახელებულ ინტერნატებში.

3. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ 15 დეკემბრამდე უზრუნველყოს ყველა სკოლა-ინტერნატი და საბავშვო სახლი ზამთრის ტანსაცმლითა (ზამთრის პალტოები, კალოშები, წინდები, ხელთათმანები, სვიტრები, ფეხსაცმელები) და აუცილებელი ინვენტარ-მოწყობილობით.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) სისტემატური დახმარება და ხელმძღვანელობა გაუწიონ სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებს ზამთრისათვის მზადყოფნის საქმეში და გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად საკითხი დასვან ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე.

ბ) განათლების საბჭოს სხდომებზე განიხილონ სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების ზამთრისათვის მზადყოფნის საკითხი და შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად გაატარონ საჭირო ღონისძიებანი.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1962 წლის 30 ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წ. 6 დეკემბრის № 1103 ბრძანება

ნორიოს საბავშვო სახლის მუშაობის შესახებ

გავეცანი რა ნორიოს საბავშვო სახლის მუშაობის შემოწმების მასალებს, აღვნიშნავ, რომ ხსენებული სახლის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, ჯერ კიდევ აქვს ადგილი მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.

დღემდე კვლავ არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება აღსაზრდელთა შორის პირადი ჰიგიენის წესების დაცვას: მოსწავლეთა ნაწილი თმაგაუკრეჭავი, ფრჩხილებდაუჭრელი და ჭუჭყიანი ხელებით დადის; აღსაზრდელებს არა აქვთ სასკოლო და ყოველდღიურად ჩვეულებრივად სახმარი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი და სასწავლო საათებში, სკოლაში და კლასგარეშე მუშაობის დროს ბავშვები ერთსა და იმავე ტანსაცმელში არიან; არ არის გაპიროვნებული თეთრეული და რბილი ინვენტარი, საბავშვო სახლის დიასახლისს ქ. ნემსაძეს, რომელსაც აბარია ხმარებაში რიცხული და უხმარი რბილი ინვენტარი, არა აქვს ინვენტარის აღრიცხვის წიგნი. საერთოდ საბავშვო სახლში დღემდე არაა დამყარებული წესრიგი ინვენტარის აღრიცხვის საქმეში, ინვენტარი დაუნომრავია.

დიდად იქნა გაჭიანურებული და მხოლოდ ახლახან დამთავრდა აბანოსა და სამრეცხაოს მშენებლობა, რის გამოც ბავშვებს პრიმიტიული წესით აბანავებდნენ.

მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს აქვს ადგილი აღსაზრდელთა კვების მხრივაც. სამზარეულოში არ არის დაცული სისუფთავე, დამზადებული საჭმელები უგემური და ერთფეროვანია; არასაკმაო ყურადღება ექცევა აღსაზრდელებში კულტურულად ჭამის ჩვევების დანერგვას. მზარეული ლ. ჟორჟოლიანი სათანადოდ ვერ უძღვება კვების საქმეს: შემოწმების შედეგად 26 ოქტომბერს მას ზედმეტად აღმოაჩნდა 2 კგ და 350 გრამი ახალი კომბოსტო, 1350 გრამი პურის ფქვილი და დააკლდა 0, 410 გრამი კარაქი.

ამასთან ერთად, საბავშვო სახლი არ არის დაკომპლექტებული სათანადო აღმზრდელ-მასწავლებელთა კადრებით. ამჟამად სა-

ბავშვო სახლს და მასთან არსებულ რვაწლიან სკოლას არ ჰყავს II კლასის მასწავლებელი და ორი აღმზრდელი და ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელი და აღნიშნულ საგნებს არასპეციალისტი ასწავლის. ამასთან, მასწავლებლის უყოლობის გამო მათემატიკის სწავლება მიმდინარე სასწავლო წელს მხოლოდ 19 ოქტომბერს დაიწყო. გერმანული ენის მასწავლებელი მ. ქოზაშვილი, შრომის მასწავლებელი ფ. სამჭკუაშვილი, ხატვა-ხაზვის მასწავლებელი ა. ჭანტურიძე და 11 კლასის მასწავლებელი ლ. ხარაზოვა, რომლებიც ამავე დროს აღმზრდელებადაც მუშაობენ, ვერ ფლობენ რუსულ ენას, რაც უარყოფით გავლენას ახდენს სასწავლო სააღმზრდელო მუშაობის ნორმალურად წარმართვაზე საბავშვო სახლში, სადაც სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობს.

საბავშვო სახლში ცუდად არის დაყენებული აღსაზრდელთა შრომითი სწავლება, მასწავლებელი ფ. სამჭკუაშვილი არ არის საგნის სპეციალისტი, მას არ შეუძლია ლითონის დამუშავების პროგრამით გათვალისწინებული მასალის სწავლება. ამას თან ერთვის ისიც, რომ სასწავლო სახელოსნოსათვის განკუთვნილი სათავსო ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს სკოლის მოთხოვნებს – სრულიად მოუწყობელია და ამ პირობებში პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარება შეუძლებელია.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ნორიოს საბავშვო სახლის დირექტორმა (პ. სალუქვაძემ):

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ბავშვების კულტურულად ჩაცმის, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მოვლის და პირადი ჰიგიენის დაცვის საქმეს;

ბ) მტკიცედ მოსთხოვოს აღმზრდელებს, მეტი ყურადღება მიაქციონ თვითმომსახურებისა და პირადი ჰიგიენის ჩვევების დანერგვას აღსაზრდელებში;

დ) გადაჭრით გააუმჯობესოს აღსაზრდელთა კვება და არ დაუშვას კვების ნორმების დარღვევა, მოსთხოვოს ყველა აღმზრდელს აღსაზრდელებში კულტურულად ჭამის ჩვევების დანერგვა და სასადილოში აღსაზრდელთა ხმამაღალი ლაპარაკი და ხმაურის აღკვეთა;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საბავშვო სახლის მატერიალური ბაზის განმტკიცებას, მიაღწიოს იმას, რომ საბავშვო სახლი უზრუნველყოფილი იქნეს სასწავლო სახელოსნოებით და კაბინეტ-ლაბორატორიებით;

ზ) საბავშვო სახლის მზარეულს ლ. ჟორჟოლიანს პროდუქტების დანაკლისისა და სამზარეულოში უსუფთაობის დაშვებისათვის,

დიასახლისს ქ. ნემსაძეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის დაადოს სათანადო ადმინისტრაციული სასჯელი.

2. სამგორის რაიონის განათლების განყოფილებას (გ. რაზმაძე) სასწრაფოდ უზრუნველყოს ნორიოს საბავშვო სახლის და მასთან არსებული 8 წლიანი სკოლის კვალიფიციური აღმზრდელ-მასწავლებლებით დაკომპლექტება.

3. საბავშვო სახლის დირექტორს ბ. სალუქვაძეს აღსაზრდელთა პირადი ჰიგიენის წესების დაცვაზე, აგრეთვე მზარეულისა და დიასახლისის მუშაობაზე სათანადო კონტროლის განუხორციელებლობისათვის მიეთითოს, გაფრთხილებულ იქნეს იგი, რომ თუ საბავშვო სახლში უახლოეს დროში არ დაამყარებს საჭირო წესრიგს, მას დაედება მკაცრი ადმინისტრაციული სასჯელი.

4. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველოსთან ერთად 1963 წლის 1 იანვრამდე საგანგებოდ შეისწავლოს ნორიოს საბავშვო სახლთან არსებული დამხმარე მეურნეობა და მუშაობის გაუმჯობესების მიზნით წარმოადგინოს კონკრეტული წინადადებანი.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წლის 30 ნოემბრის კოლეგიის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წ. 7 დეკემბრის № 1108 ბრძანება

სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების მოსწავლეთა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების შემდგომი გაუმჯობესების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წლის 18 ივლისის № 630 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

გავეცანი რა მოხსენებით ბარათს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის შესაბამისი დადგენილების საფუძველზე განათლების სამინისტროს მიერ 1962 წლის 18 ივლისს გამოცემული ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, აღვნიშნავ, რომ მიუხედავად დასახული ძირითადი ღონისძიებების დამაკმაყოფილებლად განხორციელებისა, ბრძანებაში მითითებული რიგი საკითხები, როგორიცაა მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადების არსებითად გაუმჯობესება, სათანადო ცენზის არამქონე მასწავლებელთა ფართოდ ჩაბმა პედაგოგიური ინსტიტუტების საღამოსა და დაუსწრებელ ფაკულტეტებზე, საწარმოო სწავლების ცალკეულ სპეციალობებში სახელმძღვანელოების შექმნა, ამავე დარგში პროგრამების შედგენა და ადგილებზე დაგზავნა, საწარმოო სწავლების ბაზებზე მოსწავლეთა მეცადინეობისათვის ნორმალური პირობების უზრუნველყოფა და ზოგიერთი სხვა საკითხი ჯერ კიდევ მთლიანად შესრულებული არაა და მოითხოვს დამატებითი ღონისძიებების გატარებას.

აქედან გამომდინარე, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

ა) სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების სამმართველოებმა გადასინჯონ თავიანთი სამუშაო გეგმები და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი 1962 წლის 18 ივლისის № 630 ბრძანებაში აღნიშნულ იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც ჯერ კიდევ გამოუსწორებელია; გააძლიერონ სკოლების მუშაობაზე ოპერატიული ხელმძღვანელობა და კონტროლი; უფრო ფართოდ გაშალონ მუშაობა მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადების საქმის შემდგომი გაუმჯობესებისათვის;

ბ) სკოლების სამმართველომ შესაბამის უწყებებთან ერთად მიიღოს ქმედითი ზომები სასწავლო-საწარმოო ბაზებზე საამქროებსა, მალებსა და უბნებში, სკოლებზე გაპიროვნებულ საწარმოებსა და სასწავლო-საცდელ ნაკვეთებზე მოსწავლეთა მეცადინეობისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად; უზრუნველყოს სასწავლო პროგრამებით ისეთი პროფესიებიც, რომლებიც მასობრივად არ ისწავლება სკოლებში; სახელმძღვანელოებს განყოფილებასთან ერთად შეიმუშაოს ღონისძიებანი სახელმძღვანელოების შექმნისა და გამოცემისათვის საწარმოო სწავლების ყველა პროფილის ძირითად საგნებში;

გ) კადრების განყოფილებამ სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად მიიღოს საჭირო ზომები სათანადო ცენზის არამქონე მასწავლებლების უფრო ფართოდ ჩაბმისათვის პედაგოგიური ინსტიტუტების საღამოსა და დაუსწრებელ ფაკულტეტებზე; იმ შემთხვევაში, როდესაც არასათანადო ცენზის მქონე და სუსტად მომუშავე მასწავლებლები, მიუხედავად გაფრთხილებისა, გაურბიან საკუთარი პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებას, სათანადო წესების დაცვით დააყენოს საკითხი მათი სამუშაოდან განთავისუფლების ან ჩამოქვეითების შესახებ;

დ) გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა მეტი ადგილი დაუთმონ ამ დარგებში პრაქტიკისა და პედაგოგიური თეორიის აქტუალური საკითხების გაშუქებას და მოწინავე სკოლისა და მასწავლებლის გამოცდილების განზოგადებას.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წ. 8 დეკემბრის № 1111 ბრძანება

სკოლებში საზამთრო არდადეგების ჩატარების შესახებ

მოსწავლეთა საზამთრო არდადეგების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საქართველოს სსრ დაწყებით, რვაწლიან, საშუალო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ საშუალო სკოლებში საზამთრო არდადეგები ჩატარდეს 1962 წლის 30 დეკემბრიდან 1963 წლის 10 იანვრამდე ჩათვლით. მეცადინეობა შეწყდეს 1962 წლის 29 დეკემბერს, შაბათს გაკვეთილების შემდეგ და განახლდეს 1963 წლის 1 იანვარს, პარასკევს.

2. ზემოხსენებული სკოლების დირექტორებმა (გამგეებმა) 31 დეკემბრამდე ჩაატარონ პედაგოგიური საბჭოს შემაჯამებელი სხდომები, რომლებზეც უნდა განიხილონ სასწავლო წლის I ნახევრის შედეგები; საფუძვლიანი ანალიზი გაუკეთონ სასწავლო წლის განვლილი პერიოდის მანძილზე ჩატარებულ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას; განსაკუთრებულად გაამახვილონ ყურადღება მოსწავლეთა შრომითი ჩვევების აღზრდის საკითხებზე, დასახონ სათანადო ღონისძიებები პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების შემდგომი გაუმჯობესების, ზოგადსაგანმანათლებლო საგნებში მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისა და შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის.

3. 2-დან 5 იანვრამდე ყველა სკოლაში ჩატარდეს მშობელთა საერთო კრებები კლასების მიხედვით. ამ კრებებზე კლასების ხელმძღვანელებმა გააცნონ მშობლებს მოსწავლეთა მოსწრების შედეგები და ხელზე მისცენ მათ ყოფაქცევისა და წარმატების მოწმობები.

4. არდადეგების პერიოდში ჩატარდეს სკოლის დირექტორებისა და განათლების დარგის ხელმძღვანელ მუშაკთა ერთდღიანი თათბირი პროფკავშირულ და კომკავშირულ აქტივთან ერთად. თათბირზე ხანხილულ იქნეს განათლების სამინისტროს ცირკულარული

წერილები საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებისა და სკოლებსა და სასწავლო-საწარმოო ბაზებზე უსაფრთხოების ტექნიკის წესების მტკიცედ დაცვის საკითხებზე (თანდართული).

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების ხელმძღვანელებმა:

ა) მოსწავლეთა კულტურული გართობისა და გონივრული დასვენების ორგანიზაციის მიზნით მოაწყონ ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების დილა-საღამოები ინსცენირებებით, მხატვრული კითხვით, მოსწავლეთა გუნდებისა და ინდივიდუალურ შემსრულებელთა გამოსვლით. ამ ღონისძიებების ჩატარებისას მიზანშეწონილი იქნება მოწვეულ იქნენ მუშები და მოსამსახურეები იმ წარმოებადაწესებულებებიდან, რომლებშიც მოსწავლეები ეუფლებიან საწარმო პროფესიას;

ბ) სანახაობათა (კინო, თეატრი) დაწესებულებების ხელმძღვანელებთან წინასწარ შეთანხმებით მოაწყონ კოლექტიური დასწრება საბავშვო კინოსურათებსა და სპექტაკლებზე; ამ საქმეზე გააპიროვნონ სათანადო კლასების ხელმძღვანელები;

6. რაიონული (საქალაქო) და სასკოლო სპორტულ-მასობრივი ღონისძიებების კალენდარის მიხედვით ჩატარდეს მოსწავლეთა ლაშქრობები, სამატჩო შეხვედრები და შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეში.

ა.) არდადეგების პერიოდში სკოლების, სკოლა-ინტერნატების ექიმების ხელმძღვანელობით ჩატარდეს როგორც საკლასო ოთახების დეზინფექცია, ისე სასკოლო შენობების, საძინებელი კორპუსებისა და კარმიდამოს გენერალური დასუფთავება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცირკულარად

საქართველოს სს რესპუბლიკაში საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის განხორციელების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ რაიონებსა და ქალაქებში საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის განხორციელების შემოწმებისა და ადგილებიდან მიღებული სტატისტიკური მასალებიდან ირკვევა, რომ ამ მხრივ რესპუბლიკაში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. სახალხო განათლების ხელმძღვანელ მუშაკთა დიდმა ნაწილმა ადგილებზე სათანადო დასკვნები ვერ გააკეთა „საყოველთაო განათლების კანონის განხორციელების ღონისძიებათა შესახებ" განათლების სამინისტროს მიმდინარე წლის 15 ივნისის № 530 ბრძანებიდან.

ამის შედეგია, რომ 771, 380 მოსწავლიდან, რომელნიც ჩაბმული უნდა ყოფილიყვნენ საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის შესაბამისად სწავლებაში, 1962/1963 სასწავლო წლისათვის სკოლებში გამოცხადდა მხოლოდ 750. 063 ე. ი. 21. 317 ბავშვით ნაკლები. გეგმის შესრულების მხრივ გასულ წელთან შედარებით წელს უარესი მდგომარეობაა: გასულ წელს გეგმა შეუსრულებელი იყო 6. 392 მოსწავლით, წელს კი 21. 317 მოსწავლით.

მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შესრულების მხრივ გასულ წელთან შედარებით უარესი მდგომარეობაა აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში, ბოლნისის, მარნეულის, წალკის, ახალციხის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, დუშეთის, ახმეტის, გორის და სხვა რაიონებში. გეგმასთან შედარებით სკოლებში არ გამოცხადებულან:

	1961/62 სასწ. წ.	1962/63 სასწ. წ.
აფხაზეთის ასსრ-ში	—976 მოსწ.	1.769 მოსწ.
ბოლნისის რაიონში	—382 მოსწ.	767. მოსწ.
მარნეულის რაონში	—542 მოსწ.	771 მოსწ.
წალკის რაიონში	—238 მოსწ.	309 მოსწ.

ორჯონიკიძის	რაიონში—116 მოსწ.	188 მოსწ.
საგარეჯოს	რაიონში—140 მოსწ.	252 მოსწ.
დუშეთის	რაიონში—104 მოსწ.	199. მოსწ.
ახმეტის	რაიონში—166 მოსწ.	377 მოსწ.
გორის	რაიონში—141 მოსწ.	580 მოსწ.

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემების მიხედვით საქართველოს სს რესპუბლიკაში მოსწავლეთა მიღების გეგმასა და ფაქტიურ შესრულებას შორის გარღვევა შეადგენს 6, 3%-ს, მაშინ როდესაც მთლიანად საბჭოთა კავშირში იგი უდრის 4%-ს, ხოლო ცალკე რესპუბლიკების მიხედვით: რსფსრ-2, 2%, უკრაინის სსრ-3%, ყაზახეთის სსრ-4, 7%, ლიტვის სსრ-2, 1%, მოლდავეთის სსრ-1, 3%, ლატვიის სსრ-2, 2%, სომხეთის სსრ-3, 5%, ესტონეთის სსრ-3, 5%, მხოლოდ უზბეკეთში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთში, თურქმენეთსა და აზერბაიჯანში არის ამ მხრივ შედარებით უფრო ცუდი მდგომარეობა, ვიდრე საქართველოს სსრ-ში.

გეგმის შესრულებაში ასეთი დიდი ჩამორჩენა გამოწვეულია ადგილობრივი განათლების ორგანოების, პირველ რიგში სკოლების ხელმძღვანელთა უყურადღებობით საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის განხორციელებისადმი. მათივე მიზეზით დღემდე სათანადოდ მოწესრიგებული არაა სკოლების სამოქმედო რაიონებში ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის საქმე, არაა მჭიდრო კავშირი დამყარებული სოფლის საბჭოებთან, ამ საქმეში არაა ჩაბმული ფართო საზოგადოებრიობა.

სათანადო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა კონტინგენტის სკოლებში ბოლომდე შენარჩუნების საქმეს და მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვას დადგენილი წესის მიხედვით.

სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვის ყველაზე მაღალი პროცენტი საბჭოთა კავშირში ასევე საქართველოს სსრ-ზე მოდის. ასე მაგალითად, თუ 1961—62 სასწავლო წელს მოსწავლეთა განთესვა საბჭოთა კავშირში საშუალოდ შეადგენდა 1,9%-ს, საქართველოში იგი 3, 3%-ს უდრის. ცალკე რესპუბლიკების მიხედვით იგი შეადგენს: რსფსრ-1, 9%, უკრაინის სსრ-1 7%, ბელორუსიის სსრ-1, 6%, აზერბაიჯანის სსრ-2,6%, სომხეთის სსრ-1,7%, თურქმენეთის სსრ-1, 1% და ა. შ. დიდ განთესვას ადგილი აქვს განსაკუთრებით V—VII კლასებში. მიმდინარე სასწავლო წელს V კლასებში უნდა გამოცხადებულიყო 306. 653 მოსწავლე, ფაქტიურად გამოცხადდა 301. 792, ე. ი. 4. 861 მოსწავლით ნაკლები.

ამასთანავე, დაბალი აკადემიური მოსწრების გამო, მოსწავ-

ლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი რჩება იმავე კლასებში. ეს მდგომარეობა უარყოფით გავლენას ახდენს საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის განხორციელებაზე, ვინაიდან სკოლებიდან გაქცეული მოსწავლეთა დიდი ნაწილი სწორედ მეორეწლიანებზე მოდის. 1962/63 სასწავლო წელს რესპუბლიკის სკოლებში განმეორებით კურსის გასავლელად იმავე კლასებში დატოვებულია 53. 713 მოსწავლე, მათ შორის: აფხაზეთის ასსრ-ში—6649, აჭარის ასსრ-ში 4.555, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში—2022, ქ. თბილისში-6. 147, ქ. ქუთაისში—633, ფოთში—552, ჭიათურაში—1069, რუსთავში—636, ახალქალაქის რაიონში—1921, ახალციხის—1204, ბოლნისის—980, გორის—1070, ქარელის—952, მარნეულის—1004, წალკის—913 და ა. შ.

არადამაკმაყოფილებელია მეორეწლიან მოსწავლეთა შორის მუშაობა რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონსა და ქალაქში. საყოველთაო სავალდებულო განათლების განხორციელებას განსაკუთრებით მთიან რაიონებში ხელს უშლის სკოლათა მომსახურების დიდი რადიუსი, რაც აძნელებს მოსწავლეთა მიზიდვას სკოლებში. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ამ რაიონებში სასკოლო ინტერნატების დიდი უმრავლესობა იმდენად მოუწყობელია, რომ აქ ბავშვის ცხოვრება შეუძლებელია.

მიუხედავად ამგვარი ჩამორჩენისა, ადგილებზე დღემდე არ ხორციელდება კონკრეტული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, ამ საქმის ირგვლივ არაა დარაზმული პროფესიული ორგანიზაციები, კომკავშირი და მშრომელთა ფართო საზოგადოებრიობა.

საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის განხორციელების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და ამ საქმის ირგვლივ ფართო საზოგადოებრიობის დარაზმვის მიზნით განათლების სამინისტროს აუცილებლად მიაჩნია იანვრის არდადეგების პერიოდში ჩატარდეს ერთდღიანი თათბირი. თათბირზე საფუძვლიანად უნდა იქნეს განხილული აღნიშნული წერილის და განათლების სამინისტროს მიმდინარე წლის 15 ივნისის № 530 ბრძანება „საყოველთაო განათლების კანონის განხორციელების ღონისძიებათა შესახებ“ (კრებული № 7). ამავე დროს ადგილებზე მიღებულ უნდა იქნეს ოპერატიული ზომები სკოლიდან განთესილთა უკლებლივ სკოლებში ჩასაბმელად, რაზედაც პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრება სკოლის დირექტორებს.

მოკლე მოხსენებითი ბარათი დასახელებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ განათლების განყოფილებამ უნდა გადმოუგზავნონ სკოლების სამმართველოს არაუგვიანეს 30 იანვრისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცირკულარად

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინიხტრებს, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1961 წ. 29 და 30 დეკემბერს დამტკიცებულია წესები შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის საკითხებზე, როგორც ქალაქის, ისე სოფლის საწარმოოსწავლებიანი სკოლებისათვის, ამავე საკითხებზე 1960 წ. 7 ივნისს, 1960 წ. 15 დეკემბერს, 1961 წ. 21 იანვარს და 1961 წ. 27 თებერვალს, მიღებულია ბრძანებები და ეს სახელმძღვანელო მასალები დაბეჭდილია ბრძანებათა კრებულებში, ამ მხრივ კვლავ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა.

1962 წლის აპრილ-მაისის თვეებში ჩატარებულმა საზოგადოებრივმა დათვალიერებამ დაადასტურა, რომ ზოგიერთი სკოლის სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიებში, სასკოლო სახელოსნოებსა და საწარმოო სწავლების საამქროებში ჯერ კიდევ სათანადო სიმაღლეზე არ არის დაყენებული საწარმოო სანიტარიისა და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის საქმე, მოსწავლეებს არა აქვთ ზედა ტანსაცმლის შესანახი კარადები, ხელსაბანები, ხელსაწმენდები, ხალათები, წინსაფრები, ბერეტები, ხილაბანდები, დამცავი სათვალეები და სხვ. სკოლებში მცირე რაოდენობით არის პლაკატები და სხვა გამაფრთხილებელი ნიშნები უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების დაცვის შესახებ.

სკოლების ერთ ნაწილში ჯერ კიდევ პრაქტიკულ მეცადინეობას სასწავლო სახელოსნოებში, სასკოლათაშორისო სახელოსნოებში და ზოგიერთ საწარმოო ბაზებში ატარებენ არასპეციალისტები, რომლებიც ვერ ფლობენ საქმეს, არ იციან და ვერ იცავენ უსაფრთხოების წესებს და არ შესწევთ უნარი მუშაობის ნორმალურად წარმართვისათვის. თავის მხრივ ზოგიერთი საწარმოოსწავლებიანი სკოლის ხელმძღვანელი უპასუხისმგებლობას იჩენს უსა-

ფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების დაცვისადმი და უხეშად არღვევს ამ წესებს.

ყოველივე ეს ერთად აღებული ხშირ შემთხვევაში ხდება მოსწავლეთა დასახიჩრებისა და უბედური შემთხვევების მიზეზად. ასე მაგალითად, ა/წ 13 ოქტომბერს სამტრედიის რუსული საშუალო სკოლისა და მექანიკური და ხის დამამუშავებელი სახელოსნოს მუშაკების უზედამხედველობისა და უწესრიგობის შედეგად დაიღუპა რუსული საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე ვ. მელქაძე. ა/წ 14 დეკემბერს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ განიხილა მოსწავლე ვ. მელქაძის დაღუპვის საკითხი და დამნაშავეთა მკაცრად დასჯის მიზნით გაატარა სათანადო ღონისძიებანი. მოსწავლეთა დასახიჩრებისა და დაღუპვის შემთხვევებს გასულ წლებში ადგილი ჰქონდა ქ. თბილისისა და ზესტაფონის რაიონებში.

ამ დარგში არსებული მძიმე მდგომარეობის არსებითად გამოსწორების მიზნით განათლების სამინისტრო კატეგორიულად გავალებთ:

ა) სისტემატური კონტროლი დააწესოთ სკოლებში უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების დაცვის საქმეზე საშუალო და რვაწლიანი სკოლებიკ სასწავლო სახელოსნოებსა, სასკოლათაშორისო სახელოსნოებსა და კაბინეტ-ლაბორატორიებში;

ბ) სისტემატურად შეისწავლოთ უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების დაცვის მდგომარეობა სკოლების სასწავლო სახელოსნოებსა, სასკოლათაშორისო სახელოსნოებსა და საწარმოო ბაზებში და დროულად გაატაროთ ყველა საჭირო ღონისძიება უსაფრთხოების საშუალებების სრულ წესრიგში მოსაყვანად;

გ) არ დაუშვათ საწარმოო სწავლების დარგში სასწავლო ნაწილის გამგის თანამდებობაზე ისეთი პირები, რომელთაც არა აქვთ სპეციალური ტექნიკური განათლება და არ შესწევთ უნარი მტკიცედ დაიცვან უსაფრთხოების წესები;

დ) სახალხო-განათლების საბჭოს სხდომაზე ყოველი მეოთხედის დამთავრებისთანავე მოისმინოთ საკითხი უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის მდგომარეობის შესახებ საშუალო და რვაწლიანი სკოლების სასწავლო სახელოსნოებში, სასკოლათაშორისო სახელოსნოებში და საწარმოო ბაზებში და მიიღოთ ქმედითი ზომები შემჩნეული ნაკლოვანებების აღსაკვეთად.

ე) უმოკლეს ხანში უზრუნველყოთ, რათა სკოლის ხელმძღვა-

ნელი მუშაკები კარგად იცნობდნენ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1961 წლის 30 დეკემბრის № 987 ბრძანებას სასკოლო სასწავლო და სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებისათვის უსაფრთხობის ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების შესახებ.

ეს წერილი განხილულ უნდა იქნეს იანვრის არდადეგების პერიოდში სკოლის დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეების თათბირებზე.

თქვენს მიერ ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად დასახულ კონკრეტულ ღონისძიებათა შესახებ აცნობეთ განათლების სამინისტროს 1963 წლის 20 იანვრამდე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის

დადგენილება

1962 წელი, 14 დეკემბერი

პედაგოგიურ კადრებთან მუშაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა რესპუბლიკის სკოლების დაკომპლექტება მაღალკვალიფიციური, უმაღლესი განათლების მქონე კადრებით. 1962 წელს რესპუბლიკის სკოლებს შეემატა 1800-ზე მეტი უმაღლესდამთავრებული ახალგაზრდა სპეციალისტი.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება მასწავლებელთა დახელოვნებისათვის. კვალიფიკაციის ამაღლების კურსები 1961 და 1962 წლებში 8323 მასწავლებელმა გაიარა.

ყოველწლიურად იზრდება იმ მასწავლებლების და პედაგოგიური კოლექტივების რიცხვი, რომლებიც უნარიანად წარმართავენ მოსწავლეებთან მეცადინეობას მაღალიდეურ მეცნიერულ დონეზე და სწორად წყვეტენ მწარმოებლურ შრომასთან სწავლების შეერთების ამოცანებს.

საგრძნობლად გაუმჯობესდა მეთოდური მუშაობა. ტარდება ახალგაზრდა მასწავლებლების შეხვედრები მოწინავე პედაგოგებთან. ბევრი სახალხო განათლების ორგანო და პროფკავშირული ორგანიზაცია კარგად წარმართავს მუშაობას სკოლებისა და ცალკეული

მასწავლებლის მოწინავე მუშაობის გამოცდილების შესწავლის, განზოგადებისა და დანერგვისათვის. ამ საკითხებს იხილავენ მეთოდურ გაერთიანებათა და სახალხო განათლების საბჭოებზე, პროფკავშირის კომიტეტების პლენუმებზე, პრეზიდიუმებსა და საბჭოთა თათბირებზე.

მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა გაერთიანებულია პარტიული განათლების ქსელში. შექმნილია კომუნისტური აღზრდის საფუძვლების შემსწავლელი სემინარები და წრეები. პროფორგანიზაციები და განათლების ადგილობრივი ორგანოები ატარებენ კითხვა-პასუხისა და თემატურ საღამოებს, ექსკურსიებს, ლექცია-მოხსენებებს, „მასწავლებლის დღეებს" (თელავის, ზუგდიდის, წითელწყაროს და ზოგიერთი სხვა რაიონი).

ერთგვარი მუშაობა ტარდება სოფლის სკოლის მასწავლებელთა და სახალხო განათლების სხვა მუშაკთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

ამასთან ერთად კოლეგია და პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ სოფლის სკოლების პედაგოგიური კადრებით უზრუნველყოფის, მათთან მუშაობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ბევრი სოფლის სკოლა ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით რუსულ ენასა და უცხო ენებში. უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების ზოგიერთი კურსდამთავრებული არ ცხადდება სამუშაოზე. 1962-63 სასწავლო წლისათვის განაწილებულ 1832 ახალგაზრდა სპეციალისტიდან 296 კაცი არ გამოცხადებულა სამუშაოზე. დანიშნულ ადგილზე არ გამოცხადნენ: პუშკინის სახ. პედინსტიტუტის კურსდამთავრებული 46, უცხო ენების ინსტიტუტის—19, ქუთაისის პედინსტიტუტის—39, სახელმწიფო უნივერსიტეტის—61 კურსდამთავრებული. განათლების ადგილობრივი ორგანოები და პროფორგანიზაციები ზოგან ნაკლებად ზრუნავენ ახალგაზრდა კადრების ნორმალურ სამასწავლებლო დატვირთვაზე.

პროფკავშირული ორგანიზაციები, სახალხო განათლების ორგანოები, რაიონული, საქალაქო მეთოდკაბინეტები და მეთოდგაერთიანებები სუსტად მუშაობენ მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების გავრცელება-დანერგვისათვის.

ადგილებზე ჯერ კიდევ ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს. ქ. ქ. თბილისისა და ფოთის, ახალქალაქის, ამბროლაურის, დმანისის, ლაგოდეხის, ლენტეხის, მარნეულის,

მესტიის, თიანეთისა და ხობის რაიონებმა ვერ უზრუნველყოფეს 1962 წლის ზაფხულის პერიოდში გეგმით გათვალისწინებული მასწავლებლების შერჩევა და დახელოვნების კურსებზე მათი დროულად გამოცხადება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერიოზული ნაკლოვანებებია მასწავლებელთა თვითგანვითარების ორგანიზაციის საქმეში. განათლების განყოფილებები, პროფკავშირული ორგანიზაციები და მასწავლებლის სახლები ცუდად ეხმარებიან მასწავლებლებს მეცნიერულ-პედაგოგიური ცოდნის ამაღლებისათვის დამოუკიდებელ მუშაობაში, პედაგოგიური დაოსტატების სრულყოფაში.

პედაგოგიური ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება" და გაზეთი „სახალხო განათლება" ჯერ კიდევ არასაკმაო დახმარებას უწევენ მასწავლებლებს, სუსტად აშუქებენ საუკეთესო მასწავლებელთა გამოცდილებას.

პედაგოგიურ კადრებთან სახალხო განათლების ორგანოებისა და პროფკავშირული ორგანიზაციების სუსტი მუშაობა და არასაკმაო ყურადღება მასწავლებელთა თვითგანვითარებისადმი იწვევს იმას, რომ ზოგიერთი მასწავლებელი და პედაგოგიური კოლექტივი ძველი მეთოდებით მუშაობს, სუსტად ახორციელებს სწავლისა და აღზრდის კავშირს ცხოვრებასთან, დაბალ დონეზე ატარებს აღმზრდელობით მუშაობას.

რესპუბლიკის ბევრ სკოლაში არასაკმაოდ იბრძვიან მეორეწლიანობის ლიკვიდაციისა და საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელებისათვის.

რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონში ადგილი აქვს ფაქტებს, როცა სახალხო განათლების ორგანოები და პროფკავშირული კომიტეტები საჭირო ყურადღებით არ ეკიდებიან მასწავლებელთა მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს, არ ღებულობენ ჯეროვან ზომებს, რომ უზრუნველყოფილ იქნას სოფლის მასწავლებელთა თვის მთავრობის მიერ მინიჭებული შეღავათები და უპირატესობანი.

პროფკავშირის ადგილობრივმა, რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა შეასუსტეს ყურადღება მასწავლებლის დროის ბიუჯეტის მოწესრიგების საკითხებისადმი. ისინი ჯეროვან მოთხოვნებს არ უყენებენ სკოლებსა და სახალხო განათლების ორგანოებს, რის გამო მასწავლებლები ბევრ დროს ხარჯავენ სხვადასხვა თათბირებზე, სხდომებზე, მორიგეობაზე, რაიონის ცენტრში უსაფუძვლო სიარულზე, გაკვეთილებიდან გამოძახებაზე ამა თუ იმ საზოგადოებრივ დავალებათა შესასრულებლად, სხვადასხვა ანგარიშების შედგენაზე.

ზოგიერთი განათლების განყოფილება და პროფკავშირის რაიკომი არ ატარებს სისტემატურ მუშაობას მასწავლებელთა დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმისათვის, არ უწევს საჭირო დახმარებას და კონტროლს დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულ მასწავლებლებისაკენ.

ბევრი რაიონის პრაქტიკაში ჯერ კიდევ ვერ მოიკიდა ფეხი მასწავლებელთა დასვენებისა და კულტურული მომსახურების ისეთმა ფორმამ, როგორიც არის „მასწავლებლის დღე“; ასევე ყველა რაიონის განათლების განყოფილება და პროფკავშირის რაიკომი არ აწყობს მასწავლებელთა ექსკურსიებს, თემატურ და კითხვა-პასუხის საღამოებს, სერიოზულ ყურადღებას არ უთმობს მასწავლებელთა ჩაბმას მხატვრულ-თვითმოქმედ წრეებში (ზესტაფონის, სამტრედიის, ლენტეხის, ახალციხის, ბორჯომის, ყვარლის, მარნეულის, თეთრიწყაროს და სხვა რაიონები).

ბევრგან არადამაკმაყოფილებლად სრულდება „სოფლის რაიონებში მასწავლებელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 ივნისის № 452 დადგენილება. აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში, ყაზბეგის, ბოლნისის, წალენჯიხის, სამტრედიის, წითელწყაროს, მესტიის, ლაგოდეხის, ახალციხის, სიღნაღის, წყალტუბოს, კასპის, დუშეთის, ზესტაფონისა და ზოგიერთ სხვა რაიონში ადგილი აქვს მასწავლებელთა შეღავათებისა და უპირატესობის შესახებ კანონმდებლობის უხეში დარღვევის შემთხვევებს. ზოგჯერ მასწავლებელთათვის საცხოვრებლად აგებული ბინები გამოყენებულია არადანიშნულებისამებრ (მესტიის, ლაგოდეხისა და სხვა რაიონები).

ნაცვლად უფასო ბინის, გათბობისა და განათებისა, ხშირ შემთხვევაში, მასწავლებლებს ეძლევათ ფული და ისიც ისეთი ოდენობით, რომელიც ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს ფაქტიურ ხარჯებს.

ზოგიერთი საბჭოს თავმჯდომარე და სკოლის დირექტორი მოითხოვენ მასწავლებლებისაგან თითონ დაუდონ ხელშეკრულება სახლის მეპატრონეებს, რომელშიაც უჩვენონ გათბობის, განათებისა და ბინის ქირის ანაზღაურება 5 მან. და 40 კაპ. ოდენობით, და არა ის თანხა, რასაც ფაქტიურად უხდის მასწავლებელი ბინის მეპატრონეს.

ნაკლები დახმარება ეწევა ინდივიდუალურ ბინათმშენებელ მასწავლებლებს საალმშენებლო მასალის შეძენისა და საკარმიდამო ნაკვეთის დროულად და მოხერხებულ ადგილზე გამოყოფის საქმეში.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად სრულდება სოფლის მასწავლებელთა ბინების მშენებლობის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები. მშენებლობის მიმდინარეობა ... თერთმეტი თვის გეგმა შესრულებულია 59 %, ჩაშლილია მშენებლობა წალკისა და თელავის რაიონებში. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მშენებლობა ვანის, ბოლნისის, სიღნაღის, ლაგოდეხის, ორჯონიკიძის და ზოგიერთ სხვა რაიონში; ამ საქმისათვის ასიგნებული 300.0 ათასი მანეთიდან ათვისებულია მხოლოდ 177,9 ათასი მანეთი.

განათლების განყოფილებები და პროფკავშირის რაიკომები სუსტად ახორციელებენ კონტროლს მასწავლებელთა შეღავათებისა და უპირატესობების შესახებ არსებული დადგენილებების შესრულებაზე, ლიბერალურ დამოკიდებულებას იჩენენ იმ სასოფლო საბჭოების მიმართ, რომლებიც არ ასრულებენ მთავრობის დადგენილებას, არ აყენებენ საკითხებს ზემდგომ საბჭოთა და პარტიული ორგანოების წინაშე მასწავლებელთა შეღავათებისა და უპირატესობათა შესახებ მთავრობის დადგენილების უთუოდ შესრულებაზე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენენ:

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს და პროფკავშირის რაიკომებისა და ქალაქკომების თავმჯდომარეებს:

ა) ძირეულად გააუმჯობესონ მუშაობა მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა-გავრცელებისათვის; რეგულარულად ჩაატარონ პედაგოგიური კითხვები და სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციები სკოლებში, რაიონულ, საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკურ ცენტრებში; სისტემატურად მოაწყონ მასწავლებელთა შეხვედრები პედაგოგიური შრომის ოსტატებთან.

ყოველ სკოლაში, რაიონში, მასწავლებლის სახლში, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტსა და მის ფილიალებში მოეწყოს მუდმივმოქმედი გამოფენა საუკეთესო სკოლისა და მასწავლებლის მუშაობის გამოცდილების შესახებ;

ბ) უმაღლესი სპეციალური განათლების არმქონე ყველა მასწავლებელი ჩააბან დაუსწრებელ და საღამოს სწავლებაში, სისტემატური კონტროლი გაუწიონ მათ მიერ სასწავლო გეგმების შესრულებას და ხელი შეუწყონ წარმატებით სწავლისათვის, განტვი-

რთონ ისინი ზედმეტი საზოგადოებრივი დავალებებისაგან. ამ საქმეში განუხრელად იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წლის 20 მარტის № 5/514 საინსტრუქციო წერილით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი ყურადღება მიაქციონ მასწავლებელთა თვითგანვითარებით მუშაობას. ფართოდ გაშალონ მისი პროპაგანდა, მიაღწიონ, რომ იგი გახდეს კვალიფიკაციის ამაღლების ყველაზე მასობრივი და გავრცელებული ფორმა.

საწარმოო თათბირებზე, პროფკავშირული კომიტეტების სხდომებზე, პლენუმებზე და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე სისტემატურად განიხილონ მასწავლებელთა თვითგანვითარებისა და ამ მუშაობაში დახმარების გაწევის საკითხები. შექმნან საზოგადოებრივი აზრი იმათ მიმართ, რომლებსაც არ სურთ იმუშაონ თავიანთი ცოდნის სრულყოფისათვის, თავის მუშაობაში მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის;

გ) აამაღლონ პედაგოგიური საზოგადოებრიობის როლი მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების, მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა-დანერგვის ამოცანების გადაწყვეტაში;

დ) გააუმჯობესონ კულტურულ-მასობრივი მუშაობა პედაგოგიურ კადრებთან, განსაკუთრებით სოფლის მასწავლებლებთან, ჩაატარონ იგი სკოლის ამოცანებთან მტკიცე კავშირში, მიაღწიონ იმას, რომ კულტურულ-მასობრივი ღონისძიებები ამავე დროს გახდეს მასწავლებელთა ცოდნის ამაღლებისა და კულტურული დასვენების ორგანიზაციის საშუალება. მასწავლებელთათვის სისტემატურად ჩაატარონ ლექციები და მოხსენებები სკკპ ისტორიის საკითხებზე, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა პროპაგანდის, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მიღწევებზე.

კულტურულ-მასობრივ მუშაობაში ფართოდ გამოიყენონ ისეთი ფორმები, როგორიცაა „სოფლის მასწავლებლის დღე", თეატური საღამო, ზეპირი ჟურნალი, ქრონიკალური და დოკუმენტური ფილმების ჩვენება, გამოფენები ცოდნის სხვადასხვა დარგში.

მეტი ყურადღება დაუთმონ საექსკურსიო-საჩვენებელ მუშაობას, ფართოდ დანერგონ ექსკურსია მშობლიურ მხარეში, საშრეწველო საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეობებში;

ე) გააუმჯობესონ მუშაობა პედაგოგიური კადრების ესთეტიკური აღზრდისათვის, აღუზარდონ მათ სიყვარული მუსიკისადმი, ფერწერისა და ხელოვნების სხვა სახეებისადმი, ყოველი ღონისძიე-

ბით განავითარონ მხატვრული თვითმოქმედება, აამაღლონ მისი როლი მასწავლებელთა ესთეტიკურ აღზრდაში.

გააუმჯობესონ მასწავლებლის სახლების მუშაობა პედაგოგიური კადრებთან. ყოველ მასწავლებლის სახლთან საზოგადოებრივ საყოველ შექმნან მოწინავე აედაგოგიური გამოცდილების პროპაგანდისა და მასწავლებელთა მეცნიერული ცოდნის ამაღლების საბჭო. ფართოდ მიიზიდონ საბჭოების მუშაობაში სამეცნიერო—პედაგოგიური საზოგადოებრიობა. უფრო მეტად მოაწყონ შეხვედრები პედაგოგიური შრომის ოსტატებთან, მეცნიერებთან, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებთან, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნოვატორებთან;

ვ) მეტი ზრუნვა გამოიჩინონ პედაგოგიური კადრებისათვის სათანადო საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად. უზრუნველყონ განათლების მუშაკთათვის მთავრობის მიერ დადგენილი ყველა შეღავათისა და უპირატესობის აუცილებელი და დროული შესრულება.

შეუქმნან ყველა მასწავლებელს, განსაკუთრებით ახალგაზრდა სპეციალისტებს, შრომისა და ცხოვრების ნორმალური პირობები;

ზ) სერიოზული ყურადღება მიაქციონ კადრების სწორად განაწილებას და გამოყენებას, მასწავლებელთა გაკვეთილებით ნორმალურ დატვირთვას; აღკვეთონ მცირე რაოდენობის საათებზე მასწავლებლების დანიშვნა;

მასწავლებელთა ადგილობრივი კადრებით სოფლის სკოლების უზრუნველყოფის მიზნით ჩაატარონ მუშაობა სათანადო მონაცემების მქონე ახალგაზრდების პედაგოგიურ ინსტიტუტებში ჩასარიცხავად;

თ) დაზოგონ მასწავლებლის დროის ბიუჯეტი, არ დატვირთონ ზედმეტი ანგარიშიანობითა და საზოგადოებრივი მუშაობით, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს მის პედაგოგიურ საქმიანობასთან, აგრეთვე ზედმეტი მორიგეობით, თათბირებითა და სხდომებით; სწორად შეადგინონ გაკვეთილების ცხრილი და მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი, მეტი თავისუფალი დრო მისცენ მასწავლებელს გაკვეთილების ხარისხიანი ჩატარებისათვის მოსამზადებლად;

ი) ზუსტად დაიცვან შრომის კანონმდებლობა მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა სამუშაოზე დანიშვნის, გადაყვანისა და დათხოვნის შესახებ; აღკვეთოს ფორმალურ-ბიუროკრატული გამოვლინების ყოველგვარი შემთხვევა ამ საქმეში;

მკაცრი თვალყური ადევნონ მასწავლებელთა შრომის მართებულ ორგანიზაციას შრომის კანონმდებლობისა და შინაგანაწესის დაცვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს (ამხ. ნ. ჭახრაკია):

უფრო ფართოდ ჩააბას უნივერსიტეტი და პედაგოგიური ინსტიტუტები მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და მათთვის მეთოდური დახმარების გაწევის საქმეში.

განიხილოს საკითხი პედაგოგიური ინსტიტუტების დაუსწრებელსა და საღამოს განყოფილებების სტუდენტთა სასწავლო-პედაგოგიური ლიტერატურით უზრუნველყოფისა და ამ განყოფილებებზე მეცადინეობის ნორმალური პირობების შექმნის შესახებ.

მასწავლებელთა ადგილობრივი პედაგოგიური კადრებით სოფლის სკოლების უზრუნველყოფის მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სოფლის ახალგაზრდობის მოზიდვას პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში.

3. აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ რესპუბლიკაში არადამაკმაყოფილებლად სრულდება სოფლის მასწავლებელთა შეღავათებისა და უპირატესობის შესახებ კანონმდებლობა; რისთვისაც ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაავალოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომებს:

ა) მიიღონ ყველა საჭირო ზომები სოფლის მასწავლებელთა შეღავათებისა და უპირატესობათა შესახებ მთავრობის დადგენილებების უთუოდ შესრულებისათვის, უზრუნველყონ მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გეგმების შესრულება;

ბ) უშუალოდ დადონ ხელშეკრულება კერძო ბინათმფლობელებთან და აანაზღაურონ ხარჯები ისე, რომ მასწავლებელს არ დასჭირდეს ბინის ქირის ან გათბობა-განათებისათვის თანხების დამატება.

განიხილოს საკითხი მასწავლებელთა ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის 1963 წელში სახელმწიფო კრედიტის გადიდების შესახებ.

4. დაევალოს განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს (ამხ. დ. ჯავახია) და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საწარმოო განყოფილებას (ამხ. მ. ლომჯარია) 1963 წლის პირველ იანვრამდე გადასინჯონ წინათ დამტკიცებული წერილი მასწავლებლის დროის ბიუჯეტის შესახებ, შეიტანონ მასში ყველაფერი ახალი, რაც წამოიჭრა სკოლის გარდაქმნის შესახებ

კანონის მიღებისა და პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, გაითვალისწინონ დროის მაქსიმუმის განთავისუფლება, რომ მასწავლებელს შეეძლოს მოემზადოს გაკვეთილის ხარისხიანად ჩატარებისათვის, თავისი იდეურ-პოლიტიკური და მეცნიერული-პედაგოგიური დონის ასამაღლებლად დამოუკიდებელი მუშაობისათვის.

5. განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. ა. ღადუა) მტკიცე კონტროლი დააწესოს სოფელ ადგილებში მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე, მიიღოს ყველა ზომები მშენებლობის გეგმების თავის დროზე შესასრულებლად.

6. განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძე) და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის კულტურისა და ყოფაცხოვრების განყოფილებამ (ამხ. ო. ჩიქვილაძე) პერიოდულად მოახსენონ კოლეგიას და პრეზიდიუმს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა.

საქართველოს სსრ განათლების	პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**	**ლ. მალლაფერიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წ. 17 დეკემბრის № 1138 ბრძანება

თელავის რაიონის ნაფარეულის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში შემოსული მამხილებელი წერილების შემოწმების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში ნოემბრის პირველ რიცხვებში შემოვიდა მამხილებელი წერილები ნაფარეულის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში არსებულ მთელ რიგ უკანონო მოქმედებებსა და დამახინჯებებზე.

განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორების ამხ. ამხ. ზ. რატიშვილისა და ო. მჭედლიძის მიერ საკითხის ადგილზე შესწავლისას წამოყენებული ბრალდებები დადასტურდა.

ნაფარეულის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის სასწავლო აღმზრდელობით მუშაობაში ადგილი ჰქონდა არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს; სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ მუშაობდა უდიპლომო ვ. შავხალადოვა, რომლის კვირეული დატვირთვა მათემატიკაში 19 საათს შეადგენდა; მოანგარიშე-საქმისმწარმოებლად დანიშნული იყო სასწავლო ნაწილის გამგის და დ. შავხალადოვა; აღსანიშნავია ისიც, რომ მოანგარიშე-საქმისმწარმოებლის მოვალეობას თვით სასწავლო ნაწილის გამგე ვ. შავხალადოვა ასრულებდა და ხელფასსაც თვითონ ღებულობდა; სრულიად არადამაკმაყოფილებლად იყო დაყენებული შინასასკოლო კონტროლი და მოსწავლეთა სკოლაში გამოცხადება; მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება პირველ მეოთხედში მხოლოდ 55% აღწევდა და სხვ.

შემოწმების შედეგების გაცნობის შემდეგ რაიონულმა ხელმძღვანელობამ დაიკისრა საკითხის ადგილზე განხილვა. ა/წ 8 დეკემბერს თელავის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილა საკითხი ნაფარეულის სოფლის

ახალგაზრდობის საღამოს საშუალო სკოლის შემოწმების შედეგების შესახებ და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. თელავის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის 1962 წლის 8 დეკემბრის № 356 გადაწყვეტილება „ნაფარეულის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს საშუალო სკოლის შემოწმების შედეგების შესახებ" მიღებულ იქნეს ცნობად.

2. თელავის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ (ამხ. ნადაშვილმა):

ა) დაუყოვნებლივ გასცეს რაიონის სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებლებზე 1961 წლის აგვისტოს 10 დღის კუთვნილი ხელფასი;

ბ) სასწავლო წლის დამლევს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მოახსენოს ნაფარეულის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის მიმართ გატარებულ ღონისძიებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: განათლების სამინისტროს 1962 წლის 14 დეკემბრის კოლეგიის სხდომის დადგენილება

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წ. 19 დეკემბრის № 1152 ბრძანება

ონისა და ამბროლაურის რაიონების სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ ონისა და ამბროლაურის რაიონების სკოლების ერთ ნაწილს გარკვეული წარმატებები აქვს მოპოვებული სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში: საგრძნობლად არის გაუმჯობესებული, კერძოდ, სკოლების მატერიალური და სასწავლო ბაზა, ძირითადად ყველა სკოლა გადასულია ერთცვლიან მუშაობაზე; მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი დამაკმაყოფილებლად მუშაობს, საფუძვლიანად იმაღლებს პედაგოგიურ-მეთოდურ დონეს, კარგად ემზადება ყოველი გაკვეთილისათვის, იყენებს თვალსაჩინოებას და აღწევს სათანადო წარმატებებს საგნის სწავლებაში.

კარგი მუშაობით გამოირჩევიან ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი—ქ. გიორგობიანი (ბუგეულის საშ. სკ.); რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები—ე. ლებანიძე, მ. კაჩმაზოვა (ონის მე-2 საშ. სკ.), მ. კაციტაძე (ხოტევის საშ. სკ.), ბ. მესხი (ამბროლაურის 1-ლი საშ. სკ.), გერმანული ენის მასწავლებლები—ი. სირაძე და მ. ხეტუაშვილი (ონის მე-2 საშ. სკ.), ნ. კობახიძე (ამბროლაურის მე-2 საშ. სკ.); მათემატიკის მასწავლებელი ე. ნამგალაძე (სორის საშ. სკოლა.); ისტორიის მასწავლებლები ნ. დვალი (ბუგეულის საშ. სკ.), თ. სუთიძე (ამბროლაურის 1-ლი საშ. სკოლა.), კ. მაგრაქველიძე და ე. ხახიაშვილი (ონის მე-2 საშ. სკ); გეოგრაფიის მასწავლებლები—ქ. ლომაძე (ბუგულის საშ. სკ.), კ. ბიბილაშვილი (ხოტევის საშ. სკ.), ნ. ბუგიანიშვილი (ონის მე-2 საშ. სკ.), ვ. დოხნაძე და ვ. გეგეშიძე (ნიკორწმინდის საშ. სკ.), პ. ხუციშვილი და ლ. გონგაძე (ამბროლაურის მე-2 საშ. სკ.); ბიოლოგიის მასწავლებლები—დ. კობერიძე (ონის 1-ლი საშ. სკ.), ე. ხიდეშელი (ონის მე-2 საშ. სკ.), ფ. გურული (პიპილეთის საშ. სკ.), ა. მურუსიძე (სორის საშ. სკ.); მეცენახეობის მასწავლებლები—ნ. გოგოლაძე, ონის მე-2 საშ. სკ.), მ. ტურძილაძე (ამბროლაურის მე-2

საშ. სკ.); მეფრინველეობის მასწავლებელი—ლ. გონგაძე (ონის 1-ლი საშ. სკ.); მანქანათმცოდნეობის მასწავლებელი—ჯ. მეტრეველი (პიპილეთის საშ. სკ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთ სკოლაში მნიშვნელოვან წინსვლას აქვს ადგილი საწარმოო სწავლების ხაზით. ასე, მაგალითად, ამბროლაურის რაიონის ჭრებალოს ღვინის ქარხანამ ჭრებალოს საშუალო სკოლას საწარმოო სწავლებისათვის მუდმივ სარგებლობაში გადასცა 1, 6 ჰა სრულმოსავლიანი ვენახი და 0, 25 ჰა ვაზის სადედე; მიმდინარე სასწავლო წელს სკოლამ ამ ვენახიდან მიიღო მაღალი მოსავალი და სახელმწიფოს მიჰყიდა 2120 მანეთის ღირებულების ყურძენი.

ონის რაიონის სორის საშუალო სკოლაში კარგად არის დაყენებული საცდელი მუშაობა. ნორჩმა ნატურალისტებმა ადგილობრივი ჯიშის სიმინდი „თეთრ-კაჟოვანა" შეუჯვარეს ყაზბეგური ჯიშის სიმინდს, რითაც საშუალო მოსავლიანობა საცდელ ჰექტარზე 75 ცენტნერამდე გაზარდეს.

კარგად მუშაობენ ონის მე-2 (გამგე თ. ბერუჩევი), ამბროლაურის 1-ლი (გამგე გ. მურუსიძე) საშუალო სკოლების სასკოლო ბიბლიოთეკები და ამბროლაურის პედაგოგიური კაბინეტი (გამგე ა. კაციტაძე).

მიუხედავად ამისა, შემოწმებული სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

მასწავლებელთა გარკვეული ხაწილი ჯერ კიდევ ჯეროვანი პასუხისმგებლობით არ ასრულებს თავის ბოვალეობას, არ ცდილობს აიმაღლოს კვალიფიკაცია, ნაკლებად იყენებს სწავლებაში თვალსაჩინოებას და არასაკმაო დახმარებას უწევს მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებს.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ქართული ენა ონის რაიონის კვაშხიეთის (მასწ. დ. მაჩაიძე), სორის (მასწ. ვ. კერვალიშვილი), პიპილეთის (მასწ. ლ. იაშვილი) და ონის 1-ლ (მასწ. თ. კერვალიშვილი) საშუალო სკოლების დაწყებით კლასებში, რაც იმითაც არის გამოწვეული, რომ მასწავლებელთა უმრავლესობას ორ და სამ კლასთან ერთდროულად უხდება მუშაობა და ისინი ამ მხრივ პრაქტიკულად არ არიან დახელოვნებულნი. ონის რაიონის კვაშხიეთის (მასწ. რ. ხვედელიანი), სორის (მასწ. ს. ტაბუცაძე და ო. ურეკაძე), ამბროლაურის რაიონის ხოტევის (მასწ. ს. ენუქიძე) საშუალო სკოლების უფროსი კლასების მოსწავლეთა დონე ქართულ ენასა და ლიტერატურაში დაბალია—მოსწავლეებმა არ იციან მხატვრული ნაწარმოების შინაარსი და ვერ ახერხებენ მათ იდეურ-მხატვრულ ანალიზს, ზეპირ და წერით მეტყველებაში

უშვებენ უამრავ შეცდომებს. ზოგიერთი მასწავლებელი არ ემზადება გაკვეთილისათვის, რის გამოც მას ატარებს მეცნიერულად დაბალ დონეზე. მასწავლებელი ნ. გოცირიძე (ონის 1-ლი საშ. სკ.) მაგალითად, ვერ ანსხვავებს ზმნის დროს არსებითი სახელისაგან, მასწ. ნ. მურუსიძემ (ონის მე-2 საშ. სკ.) შეცდომით აუხსნა მოსწავლეებს, რომ წოდებითი ბრუნვის ნიშანი „ი" არისო და „ნართანიანი" არსებით სახელებს ოთხი ბრუნვა აქვთო, მასწ. ტ. კაციტაძემ (ხოტევის საშ. სკ.) წინადადების გარჩევისას ვერ მოძებნა ქვემდებარე. მასწ. ლ. სოხაძემ (ამბროლაურის 1-ლი საშ. სკ.) მოსწავლეებს არასწორად განუმარტა კრებითი, საზოგადო და კონკრეტული სახელები.

არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა მომზადების დონე რუსულ ენასა და ლიტერატურაში. მოსწავლეებს უჭირთ შესწავლილი ლიტერატურის ტექსტის შინაარსის დალაგებულად და სწორი რუსული ენით გადმოცემა, დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა. მასწავლებლები ა. კერვალიშვილი, ნ. თათარაძე (კვაშხიეთის საშ. სკ.), ს. ბერუჩევა, ე. მეტრეველი (ონის 1-ლი საშ. სკ.), ა. კერესელიძე (პიპელეთის საშ. სკოლა), ნ. მაწკეპლაძე (ხოტევის საშ. სკ.), ი. დოხნაძე (ნიკორწმინდის საშ. სკოლა), ა. ტურძილაძე (ამბროლაურის მე-2 საშ. სკ.), ს. ბერიძე (ამბროლაურის 1-ლი საშ. სკ.), სუსტად ფლობენ რუსულ ენას, ზეპირი მეტყველებისა და წერისას უშვებენ შეცდომებს, ვერ ასწორებენ მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს და ლიბერალურად აფასებენ მათ. დასახელებული მასწავლებლები გრამატიკულ მასალას ლიტერატურიდან მოწყვეტილად ასწავლიან, არ ატარებენ ე. წ. სასაუბრო ენის გაკვეთილებს და მოსწავლეებს გრამატიკის წესები მექანიკურად აქვთ დაზეპირებული.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხასიათდება არითმეტიკის სწავლება ონის მე-2 (მასწ. თ. გამყრელიძე), ონის 1-ლი (მასწ. ე. მეტრეველი), ამბროლაურის მე-2 (მასწ. ვ. კაციტაძე), ამბროლაურის რაიონის ბუგეულის (მასწ. ნ. ბეგაძე) საშუალო სკოლების V კლასებში. მოსწავლეთა ერთმა ნაწილმა არ იცის მრავალნიშნა რიცხვების წერა, მოქმედებათა თანმიმდევრობის დაცვა, ორი ან რამდენიმე რიცხვის საერთო უმცირესი ჯერადის პოვნა, წილადების შემცირება, გადიდება და სხვ. არითმეტიკის სწავლების დაბალი დონე იმით არის გამოწვეული, რომ არ ნერგავენ მოსწავლეებში ზეპირი ანგარიშის ჩვევებს, არითმეტიკულ დებულებებს ბავშვებს თვალსაჩინოებისა და დასაბუთების გარეშე აცნობენ. და ბალ დონეზეა ალგებრის სწავლება ონის 1-ლი (მასწ. კ. ჩალაძე), ონის რაიონის პიპილეთის (მასწ. მ. ჩაგელიშვილი), ამბროლაურის რაი

ონის ხოტევის (მასწ. მ. ჯმუხაძე), ამბროლაურის მე-2 (მასწ. ვ. კაციტაძე, საშუალო სკოლების VIII—X კლასებში. აღნიშნული სკოლების მასწავლებლები ნაკლებად ავარჯიშებენ მოსწავლეებს ამოცანების ამოხსნაზე, რაციონალური რიცხვების შესწავლისას არ იყენებენ ცხოვრებიდან აღებულ მაგალითებს, არ ნერგავენ მოსწავლეებში ზეპირი ანგარიშის ჩვევებს. ონის 1-ლი საშუალო სკოლის მასწ. ი. ბუგიანიშვილმა გეგმით X კლასში საკონტროლო წერა ჩაატარა, 17 მოსწავლიდან დამაკმაყოფილებელი შეფასება მხოლოდ სამმა მიიღო; ონის რაიონის პიპილეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი ს. კერესელიძე უპასუხისმგებლოდ ასწორებს მოსწავლეთა საკონტროლო წერით ნამუშევრებს და ლიბერალურად აფასებს მათ.

უფრო ცუდი მდგომარეობაა გეომეტრიისა და ტრიგონომეტრიის სწავლების საქმეში. ონის რაიონის პიპილეთის (მასწ. ს. კერესელიძე), კ ამხიეთის (მასწ. ლ. ბერუჩევი), სორის (მასწ. ლ. ბერიშვილი, ბ. ლობჯანიძე), ამბროლაურის რაიონის ნიკორწმინდის (მასწ. ი. კობახიძე), ამბროლაურის მე-2 (მასწ. ვ. კაციტაძე) საშუალო სკოლების VI—XI კლასებში. აღნიშნული სკოლების მასწავლებლები საფუძვლიანად არ არიან დაუფლებული გეომეტრიის სწავლების მეთოდებს, მის პრაქტიკულ ნაწილს, სწავლებას თვალსაჩინოების გარეშე ატარებენ, ყურადღებით არ ეკიდებიან ამოცანების ამოხსნის საქმეს. მოსწავლეებს არ აქვთ სწორი წარმოდგენა ტრიგონომეტრიულ ფუნქციებზე და მათ პრაქტიკულ მნიშვნელობაზე. მასწავლებლები ნაკლებად ავარჯიშებენ მოსწავლეებს იგივეობათა დამტკიცებაზე, ტრიგონომეტრიული ფუნქციების ნამრავლის ჯამად და ტრიგონომეტრიული ფუნქციების ჯამის ნამრავლად გარდაქმნაზე.

სუსტად არის დაყენებული ისტორიის სწავლება ამბროლაურის რაიონის ხოტევის საშუალო სკოლის (მასწ. ბ. ენუქიძე) V—VIII კლასებში. ზოგჯერ თვით მასწავლებელი ვერ გადასცემს ზუსტად ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს. ანალოგიური მდგომარეობაა ონის რაიონის კვაშხიეთის (მასწ. ნ. ტომარაძე), პიპილეთის (მასწ. ლ. ქურციკიძე) საშუალო სკოლების X კლასებში.

საერთოდ შესწავლილი სკოლების ისტორიის მასწავლებლები არ ახდენენ სასწავლო სახელმძღვანელოების ძირითადი დებულებების კონკრეტიზაციას, ისინი თხრობისას ვერ ახერხებენ აღადგინონ მოსწავლეთა წინაშე შესასწავლი ისტორიული ეპოქა და მისი მოღვაწეები. ამის შედეგად მოსწავლეებს უჭირთ ისტორიული მოვლენების მიზეზ-შედეგობრივ კავშირში გარკვევა.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული გეოგრაფიის სწავლება ონის 1-ლ საშუალო სკოლის (მასწ. ო. ჯაფარიძე) VIII კლასში. მოსწავლეებმა არ იციან აღმოსავლეთ ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის გეოგრაფიული მდებარეობა, რელიეფი, [illegible] სასარგებლო წიაღისეული, ქალაქები და პოლიტიკურ ადმინისტრაციული დაყოფა. ონის 1-ლ (მასწ ქ. გობეჯიშვილი) და სორის (მასწ. გ. ტომარაძე) საშუალო სკოლების V—VI კლასებში გეოგრაფიას არასპეციალისტები ასწავლიან, რის გამოც აღნიშნულ კლასებში მოსწავლეთა მომზადების დონე დაბალია (მასწ. გობეჯიშვილი—ბიოლოგია, ხოლო გ. ტომარაძე—გერმანული ენის სპეციალისტი).

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება ბიოლოგიის სწავლება ონის რაიონის კვაშხიეთისა (მასწ. პ. გურგენიძე) და ამბროლაურის რაიონის ხოტევის (მასწ. ვ. ენუქიძე) საშუალო სკოლების V—VI—VII და IX კლასებში. V კლასის მოსწავლეებმა არ იციან ღივის საზრდოობა თესლის სამარაგო ნივთიერებებით, VI კლასის მოსწავლეებმა—ბაქტერიების მნიშვნელობა ბუნებაში, მეურნეობაში და ადამიანის ცხოვრებაში, IX კლასის მოსწავლეებმა—ევოლუციის დამამტკიცებელი საბუთები შედარებითი ანატომიიდან და სისტემატიკიდან. კვაშხიეთის საშუალო სკოლაში არ არის ბიოლოგიის კაბინეტი, მასწავლებელი გ. ქარჩხაძე არ ზრუნავს კაბინეტის მოწყობისათვის, რის გამოც ბუნებათმცოდნეობის საგნები ამ სკოლაში ყოველგვარი დაკვირვებისა და ცდების გარეშე ისწავლება. ამბროლაურის მე-2 და ხოტევის საშუალო სკოლებში კაბინეტები სათანადოდ არ არის მოწყობილი, სათვალსაჩინო მასალები, რაც სკოლას გააჩნია ისიც მოუვლელია და გამოუყენებელია. ბიოლოგიის მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი არ იცნობს განათლების სამინისტროს ბრძანებებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ბიოლოგიის სწავლების გაუმჯობესებისა და სასწავლო კაბინეტების მოვლა-პატრონობისა და გამოყენების შესახებ.

არადამაკმაყოფილებელია გერმანული ენის სწავლება ამბროლაურის რაიონის სადმელის (მასწ. რ. დვალი), ამბროლაურის მე-2 (მასწ. ბ. კახიძე), ხოტევის (მასწ. ა. კობახიძე) საშუალო სკოლების V—VIII კლასებში. მოსწავლეთა დაბალი მომზადება იმით არის გამოწვეული, რომ აღნიშნული სკოლების მასწავლებლები სათანადოდ ვერ ფლობენ ენასა და მისი სწავლების მეთოდებს, გრამატიკულ მასალას ასწავლიან ტექსტიდან მოწყვეტით, არ აქცევენ ყურადღებას მტკიცე წერითი რეჟიმის დანერგვას. მეტყველების დროს თვით მასწავლებლები უშვებენ უხეშ შეცდომებსა და სხვ.

ონისა და ამბროლაურის რაიონების საწარმოოსწავლებიანი სკოლები ჯერ კიდევ არ არიან დაკომპლექტებული შესაფერისი კადრებით. სასოფლო-სამეურნეო მანქანათმცოდნეობას, მეცხოველეობას არასპეციალისტები ასწავლიან, რის შედეგადაც ამბროლაურის რაიონის ნიკორწმინდის (მასწ. ე. ფოფხაძე და ვ. კობახიძე), ამბროლაურის მე-2 (მასწ. ნ. კობახიძე), ონის რაიონის სორის (მასწ. ბ. ლობჯანიძე) და ონის მე-2 (მასწ. ვ. მეტრეველი) საშუალო სკოლების IX - X კლასების მოსწავლეებმა არ იციან ცხოველების ცოცხალი წონის განსაზღვრა, საკვების სახეები და შედგენილობა, საკვების დამამზადებელი მანქანები, საწველი აპარატი და მისი მუშაობის პირობები, შიდაწვის ძრავების კლასიფიკაცია, კუმშვის ხარისხი, დიზელის ძრავების გამშვები მოწყობილობა და სხვ.

ჯერ კიდევ ადგილი აქვს სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვის შემთხვევებს, ამბროლაურის რაიონის ნიკორწმინდის საშუალო სკოლას ჩამოშორდა 5 მოსწავლე, ონის 1-ლ სკოლას—3, შეუბნის რვაწლიან სკოლას—4, შქმერის და ცხმორის რვაწლიან სკოლებს—სამ-სამი. ადგილი აქვს 1 კლასების არასწორად დაკომპლექტების შემთხვევებს; მაგალითად, ამბროლაურის რაიონის ნიკორწმინდის საშუალო სკოლაში გასულ სასწავლო წელს 1 კლასში ჩარიცხეს 10 ბავშვი, რომლებიც 7 წლის ასაკისა არ იყვნენ.

ონის რაიონის პიპილეთის, კვაშხიეთის, სორის, ონის 1-ლი, ამბროლაურის რაიონის ნიკორწმინდის, ხოტევისა და ამბროლაურის მე-2 საშუალო სკოლებში ბიბლიოთეკარის შტატის გაუქმებასთან დაკავშირებით სასკოლო ბიბლიოთეკები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ.

მთელ რიგ სკოლებში კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმებში შეტანილი საკითხები ზოგადია და არ გამოხატავს კონკრეტულად კლასისათვის გათვალისწინებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსს.

სათანადო ყურადღება არ ექცევა გაკვეთილების ცხრილის სწორად შედგენის საქმეს. თითქმის ყველა სკოლაში ადგილი აქვს ქართულ ენასა და ლიტერატურაში და მათემატიკაში (VI—XI კლასებში) საათების დაწყვილების შემთხვევებს, ძნელად ასათვისებელი საგნები ხშირ შემთხვევაში თითქმის ერთ დღეს არის თავმოყრილი და სხვ.

შესწავლილ სკოლებში მასწავლებელთა ერთ ნაწილს საკლასო ჟურნალში არ შეაქვს მიმდინარე შეფასების ნიშნები, ადგილი აქვს მიმდინარე შეფასების საფუძველზე მეოთხედური ნიშნების გამოყ-

ვანის არასწორ პრაქტიკას; უფროსი კლასების ჟურნალები მოუყვანელია, ხშირია ნიშნების ჩასწორების, მოსწავლეთა გვარებისა და სახელების დამახინჯების შემთხვევები. ერთგვარი ნაკლოვანებებით ხასიათდება სკოლების წლიური სამუშაო გეგმები; გეგმით გათვალისწინებული ზოგიერთი საკითხი ზოგადია, მასში არ არის გათვალისწინებული ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობის შესწავლა, მეთოდგაერთიანების, კლასის ხელმძღვანელთა მუშაობის შესწავლა და სხვ.

გამოკვლეული სკოლების პედაგოგიური საბჭოს საოქმე წიგნები არ არის ზონარგაყრილი, დანომრილი და განათლების განყოფილების მიერ შემოწმებული, ონის რაიონის სორის, კვაშხიეთის, ონის 1-ლი, ამბროლაურის რაიონის ნიკორწმინდის და ხოტევის საშუალო სკოლებში ოქმები უწიგნურად არის წარმოებული, საბჭოზე მიღებული დადგენილებები ზოგადია და არ ხდება მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმება.

ბევრ სკოლაში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მოსწავლეთა წრეობრივი მუშაობა. ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ნორჩ ნატურალისტთა წრეები ზოგიერთ სკოლაში ფორმალურ ხასიათს ატარებენ.

მთელ რიგ სკოლებში ჯერ კიდევ არ არის მეთოდური მუშაობა გარდაქმნილი ვანათლების სამინისტროს 1961 წლის 20 ივნისის № 429 ბრძანების შესაბამისად.

შემოწმებული სკოლების ხელმძღვანელები და მასწავლებლები არ იცნობენ განათლების სამინისტროს ბრძანებებს ქართული ენისა და ლიტერატურის და მათემატიკის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

ჯერ კიდევ ადგილი აქვს სკოლებში გაკვეთილების დაქუცმაცების შემთხვევებს. ამბროლაურის რაიონის ნიკორწმინდის საშუალო სკოლაში მათემატიკას ხუთი მასწავლებელი ასწავლის. თითოეული მათგანის დატვირთვა 5—6 საათს არ აღემატება, მაშინ, როდესაც სხვავის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწ. ლ. კობახიძის საბჭოთა არმიაში გაწვევის გამო დღესაც ცდება 25 საათი.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას მასწავლებელთა მუშაობისადმი შინასასკოლო ხელმძღვანელობა და კონტროლი, სკოლების დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები საკმაო რაოდენობით არ ისმენენ გაკვეთილებს, მოსმენილი გაკვეთილების ანალიზი ზოგადია.

რაიონების განათლების განყოფილებები პედაგოგიურ კაბინეტებთან ერთად ამოწმებენ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას, მაგრამ სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მიცემული მითითებათა შესრულების შემოწმებას.

ბიბლიოთეკა

ვბრძანებ,

1. სკოლის დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

ა) ზუსტად შეისწავლონ სკოლას ჩამოშორებული სასკოლო ასაკის ბავშვების მდგომარეობა და უზრუნველყონ სასწავლო წლის შეორე ნახევრიდან სწავლებაში მათი აუცილებლივ ჩაბმა;

ბ) გააძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე. სისტემატურად მოისმინონ მასწავლებელთა გაკვეთილები და მიაღწიონ მათი პედაგოგიური დახელოვნების სრულყოფას და სწავლების მეთოდების გამრავალფეროვნებას;

გ) გაკვეთილების ცხრილი შეადგინონ პედაგოგიურ მოთხოვნათა ზუსტი დაცვით;

დ) პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე სასწავლო მეოთხედების ბოლოს მოახდინონ მეოთხედების განმავლობაში ჩატარებული მუშაობის ღრმა ანალიზი, გამოავლინონ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები და დასახონ ქმედითი ღონისძიებანი მათ სალიკვიდაციოდ;

ე) სისტემატური დახმარება გაუწიონ სწავლებაში ჩამორჩენილ მოსწავლეებს და უზრუნველყონ მათი მომზადების დონის ამაღლება;

ვ) ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობას, მოაწესრიგონ წიგნების დარგობლივი კლასიფიკაცია და მათი გამოყენების საქმე; სათანადო ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიონ მოსწავლეთა მიერ წიგნებით სარგებლობის საქმეს.

2. დაევალოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს (ამხ. თ. ზახაშვილს) ონისა და ამბროლაურის რაიონებისათვის ადგილზე მოაწყოს ორ და სამ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელთათვის დახელოვნების კურსები.

3. მოსწავლეთა მომზადების დაბალი დონისათვის მიეთითოთ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს—დ. მაჩაიძეს, რ. ხვედელიანს (კვაშხიეთის საშ. სკ.), ვ. კერვალიშვილს, ს. ტაბუცაძეს, ო. ურეკიძეს (სორის საშ. სკ.), ლ. იაშვილს (პიპილეთის საშ. სკ.), თ. კერვალიშვილს (ონის 1-ლი საშ. სკ.), ს. ენუქიძეს (ხოტევის საშ. სკ.); რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს—ა. კერვალიშვილს (კვაშხიეთის საშ. სკ.), ე. მეტრეველს

(ონის 1-ლი საშ. სკ.), ნ. მაწკეპლაძეს (ხოტევის საშ. სკ.), ს. ბერიძეს (ამბროლაურის 1-ლი საშ. სკ.); მათემატიკის მასწავლებლებს — ლ. ბერუჩევას (კვაშხიეთის საშ. სკ.), ლ. ბერიშვილს (სორბოსანი სკ.), კ. ჩალაძეს, ი. ბუგიანიშვილს (ონის 1-ლი საშ. სკ.), ვ. კაციტაძეს (ამბროლაურის მე-2 საშ. სკ.), ი. კობახიძეს (ნიკორწმინდის საშ. სკ.); ისტორიის მასწავლებლებს — ნ. ტომარაძეს (კვაშხიეთის საშ. სკ.), ლ. ქურციკიძეს (პიპილეთის საშ. სკ.); გეოგრაფიის მასწავლებელს ო. ჯაფარიძეს (ონის 1-ლი საშ. სკოლა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. საგნის სწავლების სუსტად დაყენებისა და გაკვეთილების მოუმზადებლად ჩატარებისათვის საყვედური გამოეცხადოთ: ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს — ნ. გოცირიძეს (ონის 1-ლი საშ. სკ.), ტ. კაციტაძეს (ხოტევის საშ. სკ.), ნ. მურუსიძეს (ონის მე-2 საშ. სკ.); ისტორიის მასწავლებელს — ბ. ენუქიძეს (ხოტევის საშ. სკ.).

5. დაევალოს ონის რაიონის განათლების განყოფილებას განიხილოს პიპილეთის საშუალო სკოლის მასწავლებელ ს. კერესელიძის საკითხი და გააფრთხილოს იგი, თუ მათემატიკის სწავლებას სკოლაში არსებითად არ გააუმჯობესებს, განთავისუფლებული იქნება სამუშაოდან.

6. ონისა და ამბროლაურის რაიონების განათლების განყოფილებების გამგეებმა (ამხ. ამხ. ვ. ჯაფარიძემ, მ. ჭილვარიამ):

ა) სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე პერიოდულად მოისმინონ სკოლების დირექტორების მოხსენებები საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ;

ბ) დააწესონ კონტროლი მასწავლებელთა შორის საათების განაწილების საქმეზე, არ დაუშვან საათების დაქუცმაცება და არასპეციალისტ მასწავლებელთა დანიშვნა;

გ) ყურადღების ცენტრში იყოლიონ ამ ბრძანებაში აღნიშნული სუსტად მომუშავე მასწავლებლები და სისტემატური კონტროლი და ხელმძღვანელობა განახორციელონ მათ მუშაობაზე;

დ) აღრიცხონ სკოლაში ისეთი მასწავლებლები, რომლებიც პედაგოგიურ დახელოვნებას ან კვალიფიკაციის ამაღლებას საჭიროებენ და უზრუნველყონ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მიერ მოწყობილ საკურსო ლონისძიებაში ან პედაგოგიური ინსტიტუტების დაუსწრებელ განყოფილებებზე მათი ჩაბმა;

ე) სკოლებში მეთოდური მუშაობა გარდაქმნან და გააუმჯობესონ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1961 წლის 20 ივნისის № 429 ბრძანების შესაბამისად;

3) უზრუნველყონ აღნიშნული ბრძანების განხილვა რაიონის სკოლების დირექტორების (გამგეების) თათბირებზე და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობაში შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ხაფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1962 წლის 14 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წლის 20 დეკემბრის № 1157 განკარგულება

ნორჩ მხატვართა მე-7 საქალაქო კონკურსის შედეგებისა და 1-ლი რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ

აღვნიშნავ, რომ ნორჩ მხატვართა საქალაქო კონკურსის ჩატარებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქ. თბილისის სკოლებში ხატვის სწავლების გაუმჯობესების საქმეს.

ნორჩ მხატვართა შემაჯამებელ გამოფენაზე წარმოდგენილი ნახატებისა და მოდელების ნიმუშებმა პედაგოგიური საზოგადოებრიობისა და ამ დარგის სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურა.

მე-7 საქალაქო კონკურსში მონაწილეობა მიიღო ქ. თბილისის 65 საშუალო სკოლის 777 მოსწავლემ. მათ მიერ გამოფენაზე წარდგენილი იყო 2691 ნახატი. კარგი ხარისხის ნამუშევრები წარმოადგინეს ლენინის რაიონის (განათლების განყოფილების გამგე ამხ. გოგიტაძე, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე მ. ქუმელაშვილი) სკოლების მოსწავლეებმა. ამ რაიონიდან გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 270 მოსწავლის 1242 ნამუშევარი. 26 კომისრის რაიონმა წარმოადგინა 444 ნახატი, ორჯონიკიძის რაიონმა—456, კალინინის რაიონმა—121, 1-ლი მაისის რაიონმა—123, ოქტომბრის რაიონმა—229, კიროვის რაიონმა—76 ნახატი.

კონკურსზე საუკეთესო ნამუშევრები წარმოადგინეს ქ. თბილისის მე-4 (დირექტორი ალ. ქურიძე,) მე-3 (ნ. მუჯირი), მე-15 (ა. მათითაიშვილი), 116-ე (ზ. ფილიშვილი) და 112-ე (მ. გოგუაძე) საშუალო სკოლებმა.

ქ. თბილისში ნორჩ მხატვართა შორის დიდი მუშაობა ჩაატარეს მასწავლებლებმა: გ. ი. სვანიძემ (მე-4 საშ. სკოლა), მ. შ. დიაჩკომ (37-ე საშ. სკოლა), ნ. მ. პაპიძემ (მე-11 სკოლა), ფ. ს. კოლჩევმა (49-ე სკოლა), ა. ა. ასტვაცატუროვმა (მე-14 სკოლა), მ. ქ. ნემცევამ (97-ე სკოლა), ზ. ქ. დვალიშვილმა (64-ე სკოლა), დ. მაჭავარიანმა (27-ე სკოლა), ა. ვ. თავაძემ (112-ე სკოლა), ვ. ჰ. მეტრეველმა (მე-20 სკოლა), ვ. კ. ერისთავმა (116-ე სკოლა).

აღსანიშნავია საქართველოს სსრ ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მხაზველობითი გეომეტრიის კათედრის გამგის პროფესორ არ. გულისაშვილის, საინჟინერო გრაფიკის კათედრის გამგის ამხ. ს. ბურჭულაძის და ბ. ინელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტრანსპორტის კაბინეტის გამგის ამხ. ქ. გიორგაძის მუშაობა ნორჩ მხაზველთა საქალაქო კონკურსის ორგანიზაციისა და ჩატარების საქმეში.

ვბრძანებ,

1. ნორჩ მხაზველთა საქალაქო კონკურსის ორგანიზებულად ჩატარებისათვის გამოეცხადოს მადლობა:

1. არჩილ ალექსის ძე გულისაშვილს—ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მხაზველობითი გეომეტრიის კათედრის გამგეს;

2. სერგო დიმიტრის ძე ბურჭულაძეს—ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინერო გრაფიკის კათედრის გამგეს;

3. მამია ვარლამის ძე გოგიტაძეს —ქ. თბილისის ლენინის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს;

4. მიხეილ შალვას ძე ლლონტს—ქ. თბილისის განათლების განყოფილების მეთოდისტს;

5. ვალარშაკ აკაკის ძე კაზარიანს—ქ. თბილისის განათლების განყოფილების მეთოდისტს;

6. მიხეილ მიხეილის ძე ქუმელაშვილს—მე-5 საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელს;

7. რიმა გიორგის ასულ ჯიქიას—ორჯონიკიძის რაიონის კონკურსის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარეს;

8. გივი ილიას ძე სვანიძეს—ქ. თბილისის მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელს;

9. ნიკოლოზ მიხეილის ძე პაპიძეს—მე-11 საშუალო სკოლა;

10. მიხეილ ეფრემის ძე ბურჭულაძეს—მე-15 საშუალო სკოლა;

11. ეზუგბაია შოთა ერასტის ძეს—26 კომისრის რაიონის კონკურსის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარეს;

12. არმენაკ ამაიაკის ძე ასტვაცატუროვს—მე-14 საშუალო სკოლა;

13. დიმიტრი მაჭავარიანს—1-ლი მაისის რაიონის კონკურსის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარეს;

14. ქეთევან გრიგოლის ასულ გიორგაძეს—ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტრანსპორტის კაბინეტის გამგეს;

15. მიხეილ დავითის ძე ლასურაშვილს—ქ. თბილისის საავეჯო კომბინატის დირექტორს;

16. მიხეილ მიხეილის ძე ურთქმელიძეს—ქ. თბილისის ... ვაის სამმართველოს უფროსს;

17. მიხეილ სიმონის ძე ჩიკვაიძეს—საქალაქო ტრანსპორტის სამმართველოს უფროსს;

18. აკაკი სიმონის ძე ჩარკვიანს—საელმავალო დეპოს უფროსს.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ნორჩ მხაზველთა საქალაქო კონკურსში გამარჯვებული 99 მოსწავლე დაჯილდოებულია ფასიანი საჩუქრებით საშეფო ორგანიზაციების მიერ, ხოლო სიგელებით—ბ. ინელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექციის მიერ.

3. 1963 წლის 10 იანვრიდან ჩატარდეს ნორჩ მხაზველთა პირველი რესპუბლიკური კონკურსი რესპუბლიკის 7 ქალაქში: თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, გორში, თელავსა და ცხინვალში.

4. კონკურსის მომზადებისა და ჩატარების უზრუნველსაყოფად განათლების სამინისტროსთან ჩამოყალიბდეს საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. ჯავახია დავით—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი (თავმჯდომარე);

2. ბურჭულაძე სერგო—საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინერო გრაფიკის კათედრის გამგე (მოადგილე).

3. ჩხიკვაძე აკაკი—თბილისის განათლების განყოფილების გამგის მოადგილე.

4. მალანია ილია—ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინერო გრაფიკის კათედრის მასწავლებელი;

5. ჯანგიძე ანტონ—პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის საინჟინერო გრაფიკის კათედრის მასწავლებელი;

6. დარსალია ქეთევან—განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი;

7. გიორგაძე ქეთევან—ბ. ინელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტრანსპორტის კაბინეტის გამგე (მდივანი).

8. ქუმელაშვილი მიხეილ—მე-5 საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი;

9. ლასურაშვილი მიხეილ—ქ. თბილისის საავეჯო კომბინატის დირექტორი;

5. ნორჩ მხაზველთა რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების დებულება დამტკიცდეს (თან ერთვის);

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ნორჩ მხაზველთა რესპუბლიკური კონკურსის ჩამატარებელმა საორგანიზაციო კომიტეტმა:

ა) შეადგინოს სამუშაო გეგმა და უხელმძღვანელოს კონკურსის მაღალ დონეზე ჩატარებას; საქალაქო გამოფენაზე დასასწრებლად მიავლინოს საორგანიზაციო კომიტეტის წევრები;

ბ) კონკურსის მიმდინარეობის შესახებ პერიოდულად წარმოადგინოს მასალები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოში.

8. ნორჩ მხაზველთა პირველი რესპუბლიკური კონკურსი გამოცხადდეს 1963 წლის 10 იანვრიდან 10 აპრილამდე ქალაქებში: თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, ცხინვალში, გორსა და თელავში;

9. ქ. თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, ცხინვალის, გორისა და თელავის განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) შექმნან ხელშემწყობი კომისიები სპეციალისტ მასწავლებელთა შემადგენლობით;

ბ) ფართოდ გააცნონ სკოლებს ნორჩ მხაზველთა 1-ლი რესპუბლიკური კონკურსის დებულება და უზრუნველყონ კონკურსში მოსწავლეთა ფართო მონაწილეობა.

10. ნორჩ მხაზველთა 1-ლი რესპუბლიკური კონკურსის შემაჯამებელი საქალაქო გამოფენები მოეწყოს 1963 წლის 10-20 აპრილამდე, ხოლო რესპუბლიკური შემაჯამებელი გამოფენა მოეწყოს 1963 წლის 15-დან 20 მაისამდე;

11. ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორმა:

ა) 1963 წლის ბიუჯეტის თანხებიდან გამოყოს ნორჩ მხაზველთა კონკურსის ჩატარებისათვის საჭირო თანხა;

ბ) გამოყოს ცალკე კაბინეტი ნორჩ მხაზველთა წრეების მუშაობისათვის და უზრუნველყოს წრეების დაკომპლექტება სათანადო სპეციალისტებით.

12. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ნ. ჭახრაკიას, რათა მისცეს მითითება უმაღლეს სასწავლებლებს ნორჩ მხაზველთა რესპუბლიკური კონკურსისათვის მზადებაში უმაღლესი სასწავლებლების შესაფერისი კათედრების მონაწილეობის შესახებ.

13. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) გამოუყოს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა ცენტრ-სახლეს კონკურსისათვის საჭირო ქაღალდი და მასალები.

14. სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია) უხელმძღვანელოს ნორჩ მხაზველთა კონკურსის მომზადება-ჩატარების საქმეს.

15. გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციამ (ამხ. გ. საჯაია) პერიოდულად გამოაქვეყნოს მასალები ნორჩ მხაზველთა კონკურსის მზადების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღ ე ბ უ ლ ე ბ ა

ნორჩ მხაზველთა პირველი რესპუბლიკური კონკურსის შეხახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ქ. თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბაზაზე, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინერო გრაფიკის კათედრის მონაწილეობით 1963 წლის 10 იანვრიდან 20 მაისამდე ატარებს ნორჩ მხაზველთა პირველ რესპუბლიკურ კონკურსს საუკეთესო ნახაზებზე.

კონკურსი მიზნად ისახავს გააღრმაოს მოსწავლეთა მიერ სკოლაში მიღებული ცოდნა ხაზვაში, გამოავლინოს ნიჭიერი მოსწავლეები, დაუკავშიროს მოსწავლეთა თეორიული ცოდნა (ნახაზის შედგენა) პრაქტიკულ გამოყენებას (მოდელების დამზადება), ხელი შეუწყოს მოსწავლე ახალგაზრდობის მომზადებას პრაქტიკული საქმიანობისათვის.

კონკურსის მომზადება-ჩატარებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან იქმნება რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, ხოლო ქალაქების განათლების განყოფილებებთან კონკურსის ხელისშემწყობი კომისიები.

ნორჩ მხაზველთა რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი და ადგილობრივი საქალაქო კომისიები კონკურსში მონაწილე მოსწავლეთათვის აწყობენ მეცნიერ მუშაკთა და გამოცდილ პედაგოგთა ლექცია-საუბრებს მოსწავლეთათვის საინტერესო თემებზე.

ამ მუშაობას რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი ატარებს თბილისის სკოლების მოსწავლეთათვის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, ხოლო ადგილობრივი საქალაქო კომისიები— მათ მიერ წინასწარ შერჩეულ პუნქტებში.

კონკურსში მონაწილე მოსწავლეების მიერ საკონკურსოდ შეიძლება წარმოდგენილ იქნას მათ მიერ დამზადებული როგორც ნახაზები, ტექნიკური სურათები, ასევე მუყაოს, ხის და ლითონის მოდელები. წარმოდგენილი მასალა უნდა შეესაბამებოდეს ხაზვის პროგრამით გათვალისწინებულ კურსს.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების VII-XI კლასის ყველა მოსწავლეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონკურსში მონაწილეებს მოეთხოვებათ:

ა) VII კლასისათვის—ტექნიკური სურათიდან კომპლექსური ნახაზის შედგენა და ნახაზიდან მოდელის დამზადება; ქართული ორნამენტები;

ბ) VIII კლასისათვის—(საპროგრამო ნებისმიერი თემა) დეტალების ესკიზების, ნახაზების, თვალსაჩინო გამოსახულებისა და ტექნიკური ნახატების წაკითხვა და შესრულება ტექნიკური ხაზვის ზოგიერთი პირობითობის გამოყენებით;

გ) IX კლასისათვის—კომპლექსური ნახაზის შედგენა და მისი შესაბამისი მოდელის დამზადება; პირამიდული, კონუსური და სფერული ფორმის საგნების გამოხატვა; მარტივი სახის ტექნიკური დეტალის სურათის და ესკიზის შესრულება; ესკიზის მიხედვით კომპლექსური ნახაზის შედგენა.

დ) X-XI კლასებისათვის—საპროგრამო მასალიდან ნებისმიერი თემები ურთიერთგადაკვეთილი ცილინდრების ფორმის მსგავსი (სამკაპი) საგნების ესკიზები და მუშა ნახაზების შედგენა; ტექნიკური სახის დეტალების ესკიზები, კომპლექსური ნახაზები და მათი თვალსაჩინო გამოსახულების მართკუთხა იზომეტრია ან ირიბკუთხა დიამეტრია (აგება არართული საამწყობო ნახაზის მიხედვით) 2-3 მარტივი ფორმის დეტალის ესკიზისა და ნახაზის შედგენა. ნახაზის ასლის ტუშით კალკაზე გადაღება;

საკონკურსოდ წარმოდგენილი ნახაზებისათვის აუცილებელია დაცული იქნეს ГОСТ—დადგენილი ფორმატის ზომები:

ა) VII, VIII და IX კლასებისათვის—11 (210 X 297);

ბ) IX, XI კლასებისათვის გარდა აღნიშნულისა დასაშვებია ფორმატი 12 (297 X 420).

საკონკურსოდ წარმოდგენილ ნახაზებთან და ტექნიკურ სურათებთან ერთად სასურველია წარმოდგენილ იქნეს მოსწავლეთა მიერ სასკოლო სახელოსნოებში დამზადებული მუყაოს, ხისა და ლითონის სხვადასხვა მოდელები. სასურველია მოდელთან ერთად ნაჩვენები იყოს შესაბამისი ნაკეთობის დამზადება.

ადგილობრივი საკონკურსო ხელისშემწყობი კომისიის მიერ გამოგზავნილი ნახაზები ხელმოწერილი უნდა იყოს სკოლის ხაზვის მასწავლებლის მიერ (გვარი, სახელი, მამის სახელი, რაიონი, სკოლა).

საქალაქო გამოფენებზე გამარჯვებულ მოსწავლეთა მთელი ნამუშევრები იგზავნება რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტში 20—25 აპრილამდე.

წარმოდგენილ ნამუშევართა რეცენზირებას აწარმოებს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი. კონკურსში დაშვებულ მოსწავლეთა სიას 10 მაისამდე რესპუბლიკური კომიტეტი უგზავნის ადგილობრივ საქალაქო კომისიებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკონკურსოდ წარმოდგენილი ნახაზი, რომელიც შესრულებულია გრაფიკულად სწორად და დაწესებული სტანდარტით, შეფასებული იქნება 5 ქულით, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ნახაზი გრაფიკულად სწორია, მაგრამ არ შეესაბამება დაწესებულ სტანდარტს, იგი შეფასდება 4 ქულით.

I და II ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდებიან ის მოსწავლეები, რომელთა ნამუშევრები შეფასებული იქნება შესაბამისად 5 ან 4 ქულით.

კონკურსზე დაშვებულ მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილი მთელი ნამუშევრების გამოფენა მოეწყობა თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში.

რესპუბლიკური გამოფენა ტარდება 1963 წლის 15-დან 20 მაისამდე.

კონკურსში გამარჯვებულ მოსწავლეთა სიას საორგანიზაციო კომიტეტი უდგენს განათლების სამინისტროს დასაჯილდოებლად.

ჯილდოების გადაცემა მოეწყობა გამოფენის შემაჯამებელ საზეიმო სხდომაზე.

ნორჩ მხაზველთა პირველი რესპუბლიკური კონკურსის ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტის მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 6, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, ტრანსპორტის კაბინეტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 1057—მესტიის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 3
2. ბრძანება № 1098—სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების ზამთრისათვის მზადყოფნის შესახებ . 13
3. ბრძანება № 1103—ნორიოს საბავშვო სახლის მუშაობის შესახებ 16
4. ბრძანება № 1108—სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების მოსწავლეთა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების შემდგომი გაუმჯობესების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წლის 18 ივლისის № 630 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ 19
5. ბრძანება № 1111—სკოლებში საზამთრო არდადეგების ჩატარების შესახებ 21
6. დადგენილება პედაგოგიურ კადრებთან მუშაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 30
7. ბრძანება № 1138—თელავის რაიონის ნაფარეულის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში შემოსული მამხილებელი წერილების შემოწმების შედეგების შესახებ 39
8. ბრძანება № 1152—ონისა და ამბროლაურის რაიონების სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . 41
9. ბრძანება № 1157—ნორჩ მხაზველთა მე-7 საქალაქო კონკურსის შედეგებისა და 1-ლი რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ 51

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/II-63 წელი. ანაწყობის ზომა 6X10. ქაღალდის ზომა 60X84 სასტამბო ფორმათა რაოდენობა $3^3/_4$.

ფასი 10 კაპ.

შეკვ. 1035. ტ. 5000

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა.
თბილისი, უშ. ჩხეიძის ქ. № 19.
Типография Министерства просвещения Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Уш. Чхеидзе № 19.